ფლორიან ზელერი

გაფრენის წინ

მთარგმნელი: ნანა სამჭკუაშვილი ©

2021

პიესა სპეციალურად ბატონი თემურ ჩხეიძისთვის ვთარგმნე, მასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე. ძალიან მოეწონა და მასზე მუშაობის დაწყების სავარაუდო თარიღიც განსაზღვრა - 2022 წელი...

თარგმანი ჩანაფიქრშივე ბატონ თემურს ეძღვნებოდა. ახლა მის ხსოვნას ეძღვნება.

ნანა სამჭკუაშვილი

ფლორიან ზელერი

გაფრენის წინ

ანდრესა და მადლენს ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის თანაცხოვრება აკავშირებთ - იმდენად შეხმატკბილებული, რომ საბოლოოდ, თითქოს ერთ არსებად არიან ქცეული, დროითა და სინაზით შედუღაბებულები. მაგრამ დრო ქარიშხალს ჰგავს და მომავალი გაურკვეველია. რა მოხდება, როცა ერთ-ერთი მათგანი აღარ იქნება? ხვდებიან რა ამ სირთულეს, ორივე ქალიშვილი შაბათ-კვირას მათთან ატარებს, ცხოვრების ახლებურად მოწყობაში დასახმარებლად. თუმცა, როგორც ჩანს, თითოეულ პერსონაჟს მომავალი სხვადასხვაგავარად ესახება.

პიესა ფლორიან ზელერისთვის დამახასიათებელ სტილშია წარმოდგენილი - რთული მისახვედრია, რა არის რეალობა და რა - ფანტაზიის ნაყოფი. ვინ - ცოცხალი და ვინ - მირაჟი. როდისაა დიალოგი და როდის - მონოლოგი, წარმოსახვაში განვითარებული დიალოგის ფორმით.

სხვაგვარადაც შეიძლება ითქვას - ერთ პიესაში (და თითოეულ სცენაში) რამდენიმე რეალობაა გაშლილი, ანდრესა და მადლენის შემდგომი ცხოვრების თითოეული ვარიანტი - ორივე ცოცხალია, ანდრე მარტო რჩება ან მადლენი რჩება მარტო. მათ შორის გამყოფი ხაზის არარსებობა თითქოს რაღაც ქაოსს ქმნის, რომელსაც საერთო დასასრული ანეიტრალებს.

მოქმედი პირნი:

ანდრე, *მამა*

მადლენი, *დედა*

ანა, *ქალიშვილი*

ელიზა, *მეორე ქალიშვილი*

ქალი

კაცი

მითითება:

1. დახრილი შრიფტით წარმოდგენილი ფრაზები არის ნაწყვეტი ჰენრი მიშოს პოეტური კრებულის - „La nuit remue" - ლექსიდან „Contre!" © Editions Gallimard.

2. ციტირებული ლექსი აღებულია „Au plus fort de l'orage..."-დან; ნაწყვეტი „Rugeurs des matinauax"-დან, რენე შარის პოეტურ კრებულში Les matinaux. © Editions Gallimard.

ავტორი მადლობას უხდის მარი კლოდ-შარსა და მიშლენ ფანკიმს, მეგობრული ნებართვისთვის.

მარინას

1.

სახლი. მისაღები ოთახი და სამზარეულო ერთ სივრცეშია. ანდრე ფანჯარაში ისე იყურება, თითქოს ვიღაცის დაბრუნებას დარაჯობს.

ანა: რას უყურებ? წუხელ ქარიშხლის ხმა გაიგე? მაგან გამაღვიძა. შენ არა? დიდი ხანია, ასეთი ძლიერი ქარიშხალი არ მინახავს. საშინელება იყო, არა? (*პაუზა*). კი, მაგრამ, რას უყურებ? მოდი, ჯობია, დაჯდე... (*ანდრე არ ინძრევა*). ასე, ერთ ადგილზე გაუნძრევლად დგომა რას მოგცემს? (*პაუზა. ანა უახლოვდება და ფანჯრიდან ისე იჭყიტება, თითქოს, უნდა, შეამოწმოს, რას უყურებს ანდრე. შემდეგ ისევ უკან მიდის*). აჯობებდა, დამჯდარიყავი. ლოდინს რა აზრი აქვს?! (*ანას მზერა ანდრეს ძველ სავარძელზე ჩერდება; ის იღიმის. საზურგეს ისე გადაუსვამს ხელს, თითქოს ეფერება*). ასე მგონია, ჩემს პატარაობაში ეს სავარძელი უკვე აქ იდგა. აქ იყო, ხომ? ეს სავარძელი... რეალურად, ბევრი არც არაფერია შეცვლილი... (*პაუზა. მისთვის რაღაცის თქმაზე ორჭოფობს და ბოლოს, გაბედავს*). იცი, შენი კაბინეტის მოწესრიგებისას შენს წიგნაკებს გადავაწყდი... (*პაუზა. ანდრე პირველად შეხედავს ანას*). არ ვიცოდი, კიდევ თუ წერდი... ამ ბოლო პერიოდს ვგულისხმობ... (*პაუზა*). არ ვიცი, რა მოვუხერხო... შენ ჩემს ადგილზე როგორ მოიქცეოდი? (*პაუზა. ანდრე ისევ აცილებს მზერას.*). ნებისმიერ შემთხვევაში, უამრავი ქაღალდია დასახარისხებელი... ვერ ვხვდები, იქ რამის პოვნას როგორ ახერხებ. მე იძულებული ვარ, ყოველთვის ყველაფერი მოვაწესრიგო... ვერ ვიტან არეულობას. მაღიზიანებს. არ ვიცი, საიდან მაქვს ეს თვისება... იმიტომ, რომ შენ და დედა პირიქით იყავით... ასე არ არის? (*ამ მოგონებით ანას ოდნავშესამჩნევი ღიმილი გადაურბენს სახეზე, რომელიც მაშინვე ქრება*). მაგრამ ახლა ყველაფერს თავისი ადგილი უნდა მიეჩინოს. ამიტომაც მოვედი. (*პაუზა*). არა, წუხელ თითქმის არ მძინებია. არა მარტო ქარიშხლის გამო... ცხადია. ამ ყველაფერმა ჩემზე ძალიან იმოქმედა, ხვდები ალბათ. და თან, ის ფაქტი, რომ აქ მეძინა, ჩემს ბავშვობის ოთახში. ბოლოს, მინიმუმ... არ ვიცი, ალბათ 10 წელი გავიდა, შეიძლება მეტიც... (*პაუზა*). რაღაც მომენტში წვიმა შეწყდა, ისევ ავდექი და აქ აღმოვჩნდი. სულ მარტო. ჩქამიც არ ისმოდა. და აქ დავრჩი. მისაღებ ოთახში. შენზე ვფიქრობდი. იმ ყველაფერზე, რაც გუშინ ითქვა... (*ანა მისკენ ბრუნდება*). ხომ ხვდები, გამოსავალია საპოვნელი. (*ანდრე რაღაცნაირი, მტრული განწყობით ბრუნდება მისკენ. ანა დამაჯერებლობას კარგავს*). რა თქმა უნდა, ეს არაჩვეულებრივი

სახლია... არ გეწინააღმდეგები. მასთან ბევრი რამ გვაკავშირებს. მაგრამ არის კი ისევ მოსახერხებელი, არსებულ სიტუაციაში?! (*ანდრე ფანჯრის წინ პოზიციას ტოვებს და ნელი ნაბიჯით მიდის თავისი სავარძლისკენ. მისი უკმაყოფილება იგრძნობა*). იმის თქმა მინდა... ასეთ ადგილზე მარტო ცხოვრება შეუძლებელია. პურის საყიდლადაც კი მანქანით წასვლაა საჭირო... (*ამ ფრაზაზე ანდრე ჩერდება*). ეს ყოფნა-არყოფნის საკითხია, მამა. აქ მარტო ცხოვრება შეუძლებელია.

ანდრე: ორცხობილა.

ანა: რა?

ანდრე: მე ორცხობილას ვჭამ, პურს არა.

ანა: კი, კი... ვიცი. მაგრამ ეს ერთი და იგივეა.

ანდრე: პური და ორცხობილა? ერთი და იგივე?

ანა: არა, ცხადია.

ანდრე: აბა?

ანდრე თავისი ქალიშვილის ნათქვამის შეუსაბამობის აღსანიშნავად მხრებს იჩეჩს და დასაჯდომად მიდის.

ანა: იმას ვგულისხმობდი, რომ... სახლი იზოლირებულია. სანამ ორი იყავით, კიდევ არა უშავდა, მაგრამ ახლა... ალბათ სხვა რამის მოფიქრების დროა. სხვაგვარი მოწყობის. შენ ასე არ თვლი? არის გარკვეული რაღაცები, რასთან განშორებაც უნდა შეგვეძლოს. (*კარზე ზარის ხმაა. ანა ხედავს, რომ ანდრეს რეაქცია არ აქვს*): გინდა, წავიდე, მე გავაღო?

ანდრე: არადა, ეს ძალიან მარტივია. მე მხოლოდ ორცხობილას ვჭამ. კარაქით. და ჯემით. მარწყვის ჯემით, თუ ზუსტად გინდა, იცოდე!

ანა: კარგი. მე... აქ იყავი. მე წავალ.

ანა კართან მიდის.

ანდრე: ყავაში ვალბობ. ადრე გარგარის ჯემიც მიყვარდა, თუმცა ეგ განვლილი ეტაპია. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მაგრამ დღეს ვის შეუძლია მაგის გაგება? *ვის* შეუძლია გაგება?

ანა მალევე ბრუნდება ყვავილის თაიგულით, რომელიც აშკარაა, რომ შეკვეთით გამოგზავნეს.

ანა: ოჰ, შეხედე... კიდევ ყვავილები. ხედავ? როგორც ჩანს... სიტყვაც კი არ წერია. უცნაურია... ლარნაკები სად აწყვია, იცი? უკვე ორი დღეა, ლარნაკებს ვეძებ... (*ანა თაიგულს ხსნის*). რაც უნდა იყოს, ლამაზია, არა? შენ ყოველთვის გიყვარდა ყვავილები... მახსოვს... შენი რჩეული ყვავილი პეონი იყო... ხშირად ყიდულობდი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მახსოვს. თუ დედასთვის მოგქონდა? ყვავილები მასაც უყვარდა... არა? ნებისმიერ შემთხვევაში, მაინც უცნაურია, წარწერა რომ არ აქვს. როგორ გავიგებთ, ვისი გამოგზავნილია. (*მამამისს გახედავს, კარადებში ლარნაკის ძებნის პარალელურად. პაუზა. უფრო მხიარული განწყობით, თითქოს სტრატეგიას ცვლის*). გუშინ სასეირნოდ ვიყავი. ქალაქში გავიარე. არ ვიცოდი, ის შენობა რომ აუგიათ... რა არის? სპორტული კომპლექსი? ხვდები, რომელ შენობაზე გეუბნები? მერიის პირისპირ... ვერა? ნამდვილად შემზარავია. შენ ასე არ ფიქრობ? საინტერესოა, ვინ იღებს ამ ტიპის გადაწყვეტილებებს. აჰ, აი, ლარნაკიც... (*ვითომც არაფერი, ანა აგრძელებს თაიგულის გამზადებას*). ჰოდა, სეირნობისას, ზუსტად, უძრავი ქონების სააგენტოსთან ჩავიარე. (*ანდრე ამ ინფორმაციაზე რეაგირებს*). შიგნით შევედი და იქ მომუშავე პირს გავესაუბრე. სანდომიან მამაკაცს. და მდგომარეობა გავაცანი. (*ანდრე ვერ ხვდება, რაზე ლაპარაკობს*). მდგომარეობა, მამა... ავუხსენი. და შემომთავაზა, რომ აქ მოვიდეს და გაგესაუბროს. თან იმისთვისაც, რომ ნახოს, რას წარმოადგენს... (*ანდრე ანას ბრალმდებლის იერით შეხედავს*). ეს არანაირ ვალდებულებას არ გაკისრებს, გასაგებია. მაგრამ უკვე დიდი ხანია, ამაზე ვსაუბრობთ, რამის გაკეთების გარეშე... ჰოდა, რადგან ამ უქმეებზე აქ ვარ... რადგან აქ ვარ, ვიფიქრე, იქნებ ეს იმისთვის გამოვიყენოთ... შენ ასე არ ფიქრობ? რომ რაღაც კონკრეტული საქმე წინ წავიგდოთ. (*ხანმოკლე პაუზა*). მოკლედ, მითხრა, რომ ეცდება, ხვალ შემოიაროს. მოსანახულებლად. ცხადია, შენ თუ თანახმა იქნები.

ანდრე: ტონობით.

ანა (*ვერ მიხვდა*)**:** ბოდიში?

ანდრე: ტონობით!

ანა: მე... ვერ მივხვდი.

ანდრე (*თითქოს თავისთვის*)**:** *ტონობით მე იმას გამოგტაცებთ, რაზეც გრამობით უარი მითხარით.*

ანა: რას... რას ამბობ?

ანდრე: *მე ქალაქს აგიშენებთ ძველმანებით. დაგეგმარებისა და ცემენტის გარეშე აგიგებთ მონუმენტს, რომელსაც თქვენ ვერ დააქცევთ. და რომელსაც აქაფებული სიცხადე შეამაგრებს და გააფართოებს... მე თქვენ უძველეს და დიდებულ ციხე-სიმაგრეებს*

დაგიდგამთ. მხოლოდ და მხოლოდ არეულობითა და ქაოსით აგებულ ციხე-სიმაგრეებს... დუმ! დუმ! დუმ! ჩამოჰკრა სიკვდილის ზარმა! არანაირი სულიერი![1]

ანა გაქვავებულივით დგას მამამისის ამ სიტყვით გამოსვლისას, რომელიც საიქიოდან მოვლენილს ჰგავს. უცებ, შემოსასვლელ კარში გასაღების ჩხაკუნის ხმა ისმის. გარემოს ცვლილება. ანა რეალურ სამყაროში ბრუნდება. ის კარისკენ ტრიალდება: დედამისი გამოჩნდება, რომელსაც ანას და, ელიზა მოჰყვება. ისინი საყიდლებიდან დაბრუნდნენ. ელიზას ხელში ჩანთები უჭირავს.

მადლენი: რას აკეთებ? შენს თავს ელაპარაკები?

ანა: რა? არა... სახლზე ვლაპარაკობდით. და ჩვენ... მოკლედ, ეს თაიგული გავამზადე. ახლახან მოიტანეს. ზედ არაფერი ეწერა.

ელიზა: აჰ, მართლა?

ანა: ჰო... შევამოწმე.

ელიზა: ვის შეეძლო ყვავილების გამოგზავნა ტექსტის გარეშე? ეს რა სისულელეა.

ანა: სწორედაც რომ, ასეა. ლამაზია, არა?

მადლენი: მაგის გული არ მაქვს. მთელი ეს ყვავილები... საშინელებაა. ალერგია დამეწყო უკვე ყვავილებზე. და რაც კი ლარნაკები მქონდა, გადავყარე.

ანა: ამის გარდა.

მადლენი: როგორც ჩანს, მხვედველობიდან გამომრჩა.

ანა: აქ დავდგამ. მაგრამ შენ თუ ასე გირჩევნია, გადავყრი. შენ როგორც გადაწყვეტ, დედა. (*დედა მხრებს იჩეჩს. ელიზა ჩანთებს სამზარეულოს მაგიდაზე აწყობს*). საყიდლებზე იყავით? რატომ არ მითხარი. გამოგყვებოდი.

მადლენი: გეძინა. აღარ გაგაღვიძე. თან, ელიზასთან ერთად ვიყავი. საყიდლებისთვის მთელი რაზმი ხომ არ წავიდოდით.

ელიზა: მით უმეტეს, რომ შენ უფრო მნიშვნელოვანი საქმე გქონდა გასაკეთებელი, თუ სწორად მივხვდი...

ანა: ამას რატომ ამბობ?

ელიზას მობილური ტელეფონი რეკავს.

ელიზა: აჰ. უნდა ვუპასუხო. ბოდიში. დავბრუნდები. (*პასუხობს და თან გასასვლელისკენ მიდის. ტელეფონზე*). ხომ გთხოვე, რომ აღარ დაგერეკა... არა!

ელიზა გადის.

ანა: რა სჭირს?

მადლენი: არ ვიცი. გაუჩერებლად კამათობენ... დილიდან მოყოლებული, ერთი და იგივე წარმოდგენა იმართება.

ანა: პოლთან?

მადლენი: ახალი.

ანა: კი, ეგ არის. პოლი ჰქვია.

მადლენი: ასე გგონია? შეიძლება... მე უკვე ვეღარ ვახერხებ მაგის ისტორიების ბოლომდე მიყოლას... და შენ რას შვრები? დაიწინაურე საქმე? წუხელ გვიან დაწექი, ხომ?

ანა: იმდენი ქაღალდია დასახარისხებელი.

მადლენი: ხომ გეუბნებოდი.

ანა: ჰო.

მადლენი: ღამის 3 საათისკენ ავდექი. ქარიშხლის გამო. კაბინეტში ისევ შუქი ენთო.

ანა: კი, ნახევარი ღამე ვიმუშავე.

მადლენი: ვერ ვხვდები, რატომ დაიჟინე ამის გაკეთება.

ანა: კარგად იცი, რატომაც. მისმა გამომცემელმა მთხოვა. მაგრამ თქვენ თუ ფიქრობთ, რომ ეს ცუდი აზრია, არანაირი ვალდებულება არ არსებობს...

ანდრე: ძველი ნაწერები...

ანა: ბოდიში?

ანდრე: შენიშვნები. ძველი ჩანაწერები. ვის რაში აინტერესებს?

ანა: მთელი ამ დაუსრულებელი მასალის ერთად შეკვრა და კრებულის გამოცემა სურთ. შენი ჩანაწერები... შავი მასალა... შენი ლექსები... ყველაფერი, რაც არ გამოგიქვეყნებია. (*ანდრე ზეცაში აღაპყრობს მზერას. ცხადად ჩანს, რომ ეს აზრი არ მოსწონს. ანა დედამისს მიმართავს, თან ნაყიდი პროდუქტების ამოლაგებაში ეხმარება*). ისინი ფიქრობენ, რომ ამ

ფორმით მისი შემოქმედების განსხვავებულად წარმოჩენა და გააზრება გახდება შესაძლებელი.

ანდრე: გასააზრებელი არაფერია. ისინი, ვინც ცდილობენ, ჩასწვდნენ - ნებისმიერ რამეს, რაც გინდა იყოს - უგუნურები არიან.

ანა (*დედამისს*)**:** მის გამომცემელს ძალიან უნდა ამის გაკეთება. როგორც ერთგვარი პატივის მიგება. მაგრამ შენ თუ წინააღმდეგი ხარ, შეგვიძლია, უარი ვთქვათ.

მადლენი: არ ვიცი. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ეს ცოტათი მიცვალებულის საფლავიდან ამოთხრას ჰგავს. შენ ასე არ ფიქრობ? იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ მაგისთვის ერთი შაბათ-კვირა არ გეყოფა.

ანა: ვიცი.

მადლენი (*ისე, თითქოს რაღაც პრობლემაზე საუბრობს*)**:** კიდევ მოგიწევს მოსვლა.

ანა: უეჭველად, კი. მაგაზე ნერვიულობ?

მადლენი: არა. უბრალოდ, ჩემს თავს ვეკითხები... თვითონ *მას* როგორ ენდომებოდა? თავის ნაწერებში სხვების ხელების ფათური მოეწონებოდა?

ისინი ანდრეს შეხედავენ. პაუზა. საუბრის უცაბედი წყვეტა.

ანდრე: რა იყიდე?

მადლენი: რა თქვი?

ანდრე: ჩანთაში რა გაქვს? ბაზრიდან მოხვედი, არა? რა იყიდეთ?

მადლენი: სოკო.

ანდრე: აჰ... მშვენიერია. სადილისთვის?

მადლენი (*როგორც ბუნებრივი ფაქტი*)**:** კი.

ანდრე: მაჩვენე. (*მადლენი აჩვენებს სოკოს*). ოჰ... შესანიშნავია. (*თავის ქალიშვილს*). აი, ნახავ... წლების განმავლობაში ამას არ ვჭამდით, ხორცი გვერჩივნა. არ ვიცი, ჭკუა სად გვქონდა. მაგრამ ახლა... ის სოკოს საუკეთესო მზარეულად იქცა. ჩემი კუსკუსა! აბა, რა სჭირდება? გაგვიმეორე.

მადლენი: ოჰ, დიდი არაფერი.

ანდრე: დიდი არაფერი! და გვითხარი მაინც.

მადლენი: ცოტა ოხრახუში...

ანდრე (*თავის ქალიშვილს, გაბრწყინებული თვალებით*)**:** ცოტა ოხრახუში...

მადლენი: ერთი თავი ხახვი.

ანდრე (*თავის ქალიშვილს*)**:** ერთი თავი ხახვი. ჰო, ჰო, ასეა... ალყა-ალყად დაჭრილი, ასე. ეს არაჩვეულებრივია. ერთი ლამაზი თავი ხახვი.

მადლენი: მარილი, პილპილი...

ანდრე (*თავის ქალიშვილს*)**:** მარილი, პილპილი, ცხადია!

მადლენი: და სულ ეს არის.

ანდრე: და სულ ეს არის. ხედავ? (*მადლენს*)**:** მწვანე ხახვი არა?

მადლენი: კი, რა თქმა უნდა!

ანდრე (*თავის ქალიშვილს*)**:** აჰ! მწვანე ხახვიც! ხახვის დავიწყება არ შეიძლება. მწვანე, თეთრი, წითელი. ყველანაირი ფერი. და ერბოკვერცხთან?! ერბოკვერცხი... ჰმ... ეს მისი სპეციალობაა. ჩემი კუსკუსა...

მადლენი: შეწყვიტე ჩემთვის მაგ სიტყვით მომართვა.

ანდრე: მაგიდასთან რომელ საათზე ვსხდებით?

ანა: ჯერ მხოლოდ 11 საათია, მამა.

ანდრე (*მკვეთრად იმედგაცრუებული*)**:** მართლა? მხოლოდ?

მადლენი: კი.

ანა: უკვე გშია?

ანდრე: ჰო. ალბათ. არა?

ანა: ჯერ კიდევ ცოტა ადრეა.

ანდრე: ეს ამ სოკოს ბრალია... 11 საათი? მხოლოდ?

ანა: კი.

ანდრე: მაგრამ, რომელი დღის?

ანა (*თბილად*)**:** დღევანდელი დღის, მამა.

ანდრე: აჰ. (*დაბნეული და მოწყენილი სახე აქვს. რამდენიმე ნაბიჯს დგამს მისაღებ ოთახში, შემდეგ ჩერდება*). მე მეგონა, რომ სხვა დღე იყო. არა? იმ შემთხვევაში, თუ...

უცებ ემჩნევა, რომ აზრი გაუწყდა. მადლენი ნაყიდი პროდუქტის დაბინავებას აგრძელებს.

მადლენი: მაგიდასთან 1 საათში დავსხდებით...

ანა: მისი ჩანაწერების კითხვისას აღმოვაჩინე, რომ ხშირად საუბრობს შენზე.

მადლენი: გიკვირს? შეგახსენებ, რომ ნახევარი საუკუნე გავატარეთ ერთად.

ანა: ვიცი. გუშინ ვსაუბრობდი ამაზე ელიზასთან... რაღაც მხრივ, ეს ჩვენთვის, ორივესთვის შთამბეჭდავია.

მადლენი: რა?

ანა: ის ფაქტი, რომ ასე დიდხანს იყავით ერთად. რომ დავფიქრდეთ, ეს არც ისე ხშირია... ბოლომდე მოახერხონ ერთმანეთის სიყვარული.

მადლენი: და შენ რას შვრები? პიერთან როგორ მიდის საქმე?

ანა სამზარეულოს მაგიდას უახლოვდება.

ანა: გინდა, მე დავჭრა?

მადლენი: არა, არა. შეეშვი. მე გავაკეთებ. (*ხანმოკლე პაუზა*). რამე რიგზე ვერ არის?

ანა: რთული საკითხია. თუმცა, განსაკუთრებით, ემასთან მიმართებაში არ არის საქმე მარტივად.

მადლენი: რატომ?

ანა: წელს დამამთავრებელ კლასშია, მაგრამ არაფერს აკეთებს. გაკვეთილებს არასდროს ესწრება. ის... მოკლედ, უცნაურად იქცევა.

მადლენი: დროსთან ერთად ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

ანა მხრებს იჩეჩს. სახეზე ეტყობა, რომ ამაში დარწმუნებული არ არის.

ანა: გამახსენდა, ეს როგორ უყვარდა.

მადლენი: რა?

ანა: სოკო.

მადლენი (*თავის ქალიშვილს*): ერთი პერიოდი საკრეფადაც დადიოდა. გახსოვს?

ანა: მართლა?

მადლენი (*თავის ქალიშვილს*): არ გახსოვს? ყოველთვის ბევრს დადიოდა. ამბობდა, რომ ეს ფიქრში ეხმარებოდა. (*ანდრე უსმენს, რასაც ამბობენ და ცდილობს გაიხსენოს*). დაბრუნებისთანავე, პირდაპირ თავის კაბინეტში მიდიოდა საწერად... საუკეთესო აზრები სწორედ სიარულისას მოსდიოდა...

ანდრე: ჰო.

მადლენი: როცა პარიზი დავტოვეთ და აქ გადმოვსახლდით, გადაწყვიტა, რომ სოკოს საკრეფად ევლო... ერთი თუ ორი წელი იყო ამ საქმით დაკავებული. მე ეს სიცილს მგვრიდა. დაიფარებდა თავის ფარფლიან ქუდს, შესაბამის ტანსაცმელში გამოეწყობოდა... მე კი დავცინოდი... და შემდეგ, მოულოდნელად შეწყვიტა.

ანდრე: ვისზე ლაპარაკობთ?

ანა (*თითქოს ანდრეს არაფერი უთქვამს*): რატომ?

მადლენი: კარგი სოკო მდინარის გაყოლებაზე მოდის. სან-პიერთან. ეს სახიფათო გზაა. ძალიან ნოტიო. და ერთხელაც გავიგეთ, ვიღაცაზე ამბობდენ, რომ გაუჩინარდა, ასე. არმანე! მიხვდი, ვისზეც გეუბნები?

ანა: ვერა.

მადლენი: როგორ ვერა! მადამ არმანეს ქმარი! ერთ დღეს, სოკოს საკრეფად წავიდა. ვერავინ გაიგო, რა დაემართა, მაგრამ აღარ დაბრუნებულა. ყველა ფიქრობს, რომ ფეხი აუცდა და მდინარეში ჩავარდა. ჰოდა, მამაშენი, რომელიც დიდი გამბედაობით არ გამოირჩეოდა... მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა თავისი შემოქმედება იყო. მთავარი იყო წერა, წერა, წერა... დანარჩენი...

ანა: ვიცი.

მადლენი: მოკლედ, სოკოს რაც შეეხება, შენც ხვდები! ისევ მიდიოდა სასეირნოდ, მაგრამ მდინარის გასწვრივ - აღარ.

ანდრე: კი, მაგრამ *ვისზე* ლაპარაკობთ, ბოლოს და ბოლოს?

მადლენი: არმანეზე.

ანდრე (*შუბლს ისე ჭმუხნის, თითქოს ეს გვარი რაღაცას ეუბნება*): აჰ.

ანა: წუხელ შემთხვევით გადავაწყდი... წეღან ამბობდი, გამუდმებით წერდაო, მაგრამ გაოცებული დავრჩი იმის აღმოჩენით, რომ ბოლოსაც ბევრს წერდა...

მადლენი: ასეა!

ანა: ბოლო პერიოდი... უბრალოდ, მისი ხელნაწერის დანახვა... ეს იყო... არ ვიცი...

ანა მოწოლილი ემოციის გამო საუბარს წყვეტს.

მადლენი: რა მოგივიდა?

ანა: არაფერი. ეს...

მადლენი: რა გჭირს?

ანა: არაფერი, ხომ გითხარი. ხახვის ბრალია.

მადლენი თავის ქალიშვილს უახლოვდება და გულში იკრავს.

მადლენი: კარგი, კარგი...

ისინი ასე გადახვეულები რჩებიან, უხმოდ, როგორც დედას და ქალიშვილს შეუძლიათ მძიმე მომენტებში ამის გაკეთება, კარგად რომ არც იციან, რატომ.

ანდრე (*რომელიც ვერ ხედავს თავის ზურგს უკან მყოფ ორ ქალს*)**:** ჰო, ის გორაკის უკან ცხოვრობდა. არმანეზე გეუბნები. მის ცოლს უფრო კარგად ვიცნობდით. დედაშენის მეგობარს. ზოგი ფიქრობს, რომ შხამიანმა სოკომ მოუღო ბოლო. ასეთი ბევრია ამ რეგიონში. შეიძლება, მოკლას კაცი... მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ცხედარი უნდა ეპოვათ... მდინარეში ჩავარდნის ვერსია უფრო სავარაუდებელია... უბრალოდ, საქმე იმაშია, რომ წლების შემდეგ პარიზში გადავეყარე, მატარებლის სადგურზე. წარმოგიდგენია? თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ის იყო. გასაოგნებელი ამბავია. ვერ ვიჯერებდი. მასთან მივედი და ვკითხე: „არმანე, ეს თქვენ ხართ?“ და ამ დროს დავინახე, სახე როგორ დაემანჭა შიშისგან. შემზარავი, ყოვლისმომცველი შიშით. „გეშლებათ...“ აი, ეს მიპასუხა და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. გვგონია, რომ ვიღაც გარდაცვლილია და თურმე ამ დროს ჯერ არ მომკვდარა... აცნობიერებ? თან ქალი ახლდა... მაგრამ არავისთვის არაფერი მითქვამს. ჩემთვის შევინახე ეს ამბავი. ბუნებრივია. ყველას აქვს უფლება, თავისი საიდუმლოებები თან გაიყოლოს. შენ ასე არ გგონია? (*ის ქალებისკენ გრუნდება და ჩახუტებულებს ხედავს*). რა დაემართა?

ქალები ერთმანეთს სცილდებიან. ყველაფერი ისე ვითარდება, თითქოს მათ საერთოდ არ გაუგიათ მამას მოყოლილი ისტორია. მოქმედება ისე გრძელდება, თითქოს მამა იქ არც იყოს.

მადლენი: კარგი, კარგი.

ანა: ჰო.

მადლენი: უკეთ ხარ?

ანა (*დედამისს*)**:** კი, კი. მაპატიე.

ანდრე: რა სჭირს?

ანა ამ უეცარი მწუხარების გასაქარწყლებლად ფართოდ იღიმის.

ანა: უფრო მეტი სიმამაცე მმართებს.

მადლენი: არა, არა. ეს ნორმალურია. ნუ ღელავ.

ანა: ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა.

მადლენი: ვიცი. აბა, გეყოფა.

ანა: კი, კი. ბოდიში. კარგი, მე ისევ გავბრუნდები. მე... თუ დაგჭირდი, დამიძახე, ხომ?

მადლენი: კარგი.

ანა: მაგრამ თუ შემიძლია, რამეში მოგეხმარო... გინდა, ხახვს მე მივხედავ?

მადლენი (*ღიმილით*)**:** რომ იტირო? არა, არა. წადი. იმუშავე. რომ გამზადდება, დაგიძახებ.

ანა: კარგი. დროებით...

ანა გადის. მადლენი სოკოს გაფცქვნას იწყებს.

მადლენი: ვიცი, შენ ყოველთვის თვლიდი, რომ მძიმე ხასიათი აქვს. მაგრამ, დამიჯერე, ახლა მას მარტივი პერიოდი არ უდგას. (*პაუზა*). ელიზამ მითხრა, პიერს სცილდებაო. მე არაფერი ვიცოდი. (*პაუზა*). გაიგო, რომ სხვა ქალს ხვდებოდა. უფრო ახალგაზრდას, ცხადია... რამდენიმე თვის განმავლობაში. ჰოდა, თავისთავად... და ის ყველაფერი, რაც აქ ხდება, მისთვის მარტივი არ არის... (*პაუზა*). გშია? (*ანდრე არ პასუხობს*). მალე გამზადდება. (*ანდრე ფანჯარასთან მიდის და შორს იყურება, როგორც სცენის დასაწყისში*). რას უყურებ? (*პაუზა. პასუხის გარეშე*). ქარიშხლის გამო? ბოსტანიც სანახავია... რა გაფუჭდა წუხელ. იმედია, დიდი ზარალი არ არის. (*პაუზა. უცებ დაეჭვებული წყვეტს საქმიანობას*). ახლა ვინ მიხედავს ბოსტანს? (*პაუზა*). ანდრე! მისმენ? ბოსტანი... ვინ მიხედავს? (*პაუზა. ანდრე მისკენ ბრუნდება*). რა გჭირს?

ანდრე: ვერ ვხვდები, ჩვენს სანახავად მოსვლა რატომ სთხოვე...

მადლენი: ვის? ანას? მე არაფერი მითხოვია. თვითონ მოიწადინა შაბათ-კვირის აქ გატარება.

ანდრე: რისთვის?

მადლენი: შენი აზრით? შენს დასახმარებლად. მარტო რომ არ დაეტოვებინე.

ანდრე: ჩემს დასახმარებლად? რაში დასახმარებლად? მე არაფერი მჭირდება. არა, არ მომწონს ეს. სხვების ცხოვრებაში ამ ფორმით შეჭრა. ორივეს ეხება, სხვათა შორის... (*წამიერად ფანჯარაში გაიხედავს*). აი, ის იქ არის, მეორე... ისევ ტელეფონზე...

მადლენი: მათ კარგის გაკეთება უნდათ...

ანდრე: კარგის გაკეთება? იცი, წეღან ანამ რა მითხრა? უძრავი ქონების აგენტს სთხოვა მოსვლა! შეხვედრა დაუნიშნა... და ხვალ უნდა მოვიდეს. აქ! ხვდები? შეიძლება ითქვას, რომ დროს არ კარგავენ. ჩემი დახმარების სურვილის მომიზეზებით! (*პაუზა*). ბებერი მცენარე ძველ ქოთანში, აი, ვინ ვარ მე. მაგრამ სხვაგან ვერ გადამრგავენ. მარტოც ძალიან კარგად მოვახერხებ ყველაფერს.

მადლენი: შენ? მარტოდმარტო მოახერხებ ყველაფერს? ისიც კი არ შეგიძლია, რამე საჭმელი გაიმზადო.

ანდრე: მოვახერხებ. (*მადლენი იღიმის*). რა? რაზე იცინი?

მადლენი: არაფერი. საჭმლის კეთების პროცესში წარმოგიდგინე...

ანდრე: არ გეწინააღმდეგები. არასდროს ვყოფილვარ ხელმარჯვე, ყველა ამ საქმეში... ყველაფერში, რაც კონკრეტულია.

მადლენი: მთელი ამ წლების განმავლობაში...

ანდრე: ჰო, ვიცი, ვიცი.

მადლენი: ჩემს თავს ვეკითხები, ვინ იქნებოდი ჩემ გარეშე?!

ანდრე: მართალია. ახლაც თვალწინ მიდგახარ სადილის მზადებისას.... იქ... (*ანდრე სამზარეულოსკენ იშვერს ხელს, სწორედ იქ, სადაც მადლენია*). ყოფითი საკითხების მოგვარება... ყველაფრის მოგვარება... მთელი ამ წლების განმავლობაში... მართალია. ახლაც გხედავ. ისე ცხადად. ისე ძლიერად... მაგრამ, რაც უნდა იყოს, ეს იმის მიზეზად ვერ გამოდგება, რომ თავიანთ ნებაზე აურ-დაურიონ ყველაფერი; რომ ყველაფერი შეცვალონ, ჩემი აზრის გაუთვალისწინებლად! არა, ხვდები? უძრავი ქონების აგენტი!

რის გაკეთებას აპირებენ? სახლის გაყიდვას, ასეა? იმ ქვეტექსტით, რომ საყიდლებზე წასასვლელად მანქანაა საჭირო? და მე? მთელ ამ ამბავში მე სად ვარ? სად უნდა წავიდე?

მადლენი: მათთან გაარკვიე.

ანდრე: საჭირო არ არის. ყველაფერი ძალიან ნათელია. მე ამ სახლს არ დავტოვებ. არ არსებობს! აქედან არსად წავალ!

ელიზა შემოდის.

ელიზა (*თავის სატელეფონო საუბარზე აკეთებს კომენტარს*)**:** ვწუხვარ, ბოდიში, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა გამეკეთებინა. (*მამამისს*). როგორ ხარ? (*სახეზე ეფერება*). რა ხდება? ცუდ ხასიათზე ჩანხარ...

მადლენი: ოდესმე გინახავს მამაშენი კარგ ხასიათზე?

ელიზა იღიმის; თუმცა მას დედამისის ნათქვამი არ გაუგონია.

ელიზა: რა ხდება, ჩემო მამიკო?

ანდრე: არაფერი. უბრალოდ...

ელიზა: რა?

ანდრე: არაფერი. არაფერი. ვის ელაპარაკებოდი? ფანჯრიდან დაგინახე. ტელეფონზე საუბრობდი?

ელიზა: კი. პოლს ველაპარაკებოდი.

ანდრე: პოლი?

ელიზა: ჩემი შეყვარებული.

ანდრე: ავტო-სკოლის მმართველი?

ელიზა: არა, ეგ დანიელი იყო.

ანდრე: აჰ?

მადლენი მათ წინ გაივლის და შემოსასველი კარის მიმართულებით მიდის.

ელიზა: დანიელი ხელმძღვანელობდა ავტო-სკოლას. მაგრამ რაღაცები შეი...

ანდრე (*მადლენს*)**:** გადიხარ?

მადლენი: დავბრუნდები.

ანდრე (*აღელვებული*)**:** სად მიდიხარ?

მადლენი: მწვანე ხახვის მოსატანად.

ანდრე: ახლა?

მადლენი: კი. ბოსტანში. დავბრუნდები. ასეთი სახე ნუ გაქვს. ორი წუთის საქმეა...

ანდრე აღელვებული ჩანს იმის წარმოდგენით, რომ მადლენი უნდა წავიდეს. მადლენი გადის. ანდრე კარისკენ გაიწევს პატარა ბავშვივით, დედას რომ გაეტირება.

ელიზა: მოკლედ, მასთან ერთად აღარ ვცხოვრობ, დანიელთან.

ანდრე: აჰა.

ელიზა: არა, ეს უკვე შეუძლებელი იყო.

ანდრე: ის ბაღში გავიდა.

ელიზა: ჩვენ შორის რაღაც რიგზე ვერ იყო. იმის თქმა მინდა...

ანდრე: ჰმ...

ელიზა: კონფლიქტური სიტუაცია იქმნებოდა და...

ანდრე: მალე დაბრუნდება. ნუ ღელავ.

ელიზა: ბოდიში?

ანდრე: რა?

ელიზა: ვისზე ლაპარაკობ?

ანდრე: დედაშენზე. მალე დაბრუნდება.

ელიზა: მამა...

ანდრე: რა? (*ელიზა სინაზის გამომხატველ ჟესტს აკეთებს მამამისის მისამართით, ისე, თითქოს დარწმუნებულია, რომ დედამისი არ დაბრუნდება და ანდრე ილუზიებშია ჩაძირული*). იმის მოსატანად წავიდა... მაგრამ დაბრუნდება. მწვანე ხახვის. ბოსტანში. სოკოსთან ყოველთვის იყენებს ხახვს. ყველანაირი ფერისას. ამ ყველაფერს ერთმანეთში ურევს და ის... მას საკუთარი რეცეპტი აქვს. არა, არა, უბრალოდ ბაღში გავიდა... რომ... არ ინერვიულო. ჰო, იმისთვის...

ელიზა: მამა...

ანდრე: რა?

ელიზა: პოლზე გელაპარაკებოდი.

ანდრე: ვინ?

ელიზა: პოლი. არა, დანიელი არა, ეგ ადრე იყო. მასთან ერთად აღარ ვცხოვრობ.

ანდრე: შენ როგორც გინდა.

ანდრე ელიზას ცალი ყურით უსმენს, რადგან, ძირითადად, მადლენის არყოფნაზეა კონცენტრირებული.

ელიზა: ისეთ კაცს შევხვდი, ვინც მართლა მიყვარს და მას პოლი ჰქვია.

ანდრე: აჰა.

ელიზა: და კარგი ამბავი ის არის, რომ შენთვის მის გაცნობას შევძლებ! ეს-ესაა მითხრა, რომ აქ მოდის!

ანდრე: ვინ?

ელიზა: პოლი! ამ შაბათ-კვირას შეხვედრები ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ, საბოლოოდ, ყველაფერს გააუქმებს.

ანდრე: აჰ, მართლა?

ელიზა: კი! უნდოდა, რომ ჩემ გვერდით ყოფილიყო. ჩემზე ღელავს, ხომ ხვდები. მგონი, ამჯერად მართლა კარგ ადამიანზე შევაჩერე არჩევანი... ჩემი მარტო დატოვება არ უნდა. სიტუაციის გათვალისწინებით. (*ანდრე შუბლს ჭმუხნის. ემჩნევა, რომ ამჯერად უსმენდა ელიზას. რა სიტუაციაზე საუბრობს? ელიზა ხედავს, რომ ის ცოტა დაბნეულია*). ეს სიტუაცია, მამა... მე ავუხსენი. დაკრძალვაზე ჩამოსვლა ვერ მოახერხა, შაბათს. წუხდა ამის გამო. მართლა. ერჩივნა, აქ ყოფილიყო. ჩვენთან ერთად. მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები ჰქონდა. მისი კონტრაქტების გარკვეული ნაწილის ბედი მაგ დროს წყდებოდა. მოკლედ რომ ვთქვა, სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. მაგრამ ცოტა ხანში შეხვდები, რადგან ჩვენს სანახავად მოდის. ხომ კარგი ამბავია?

ანდრე: მაგრამ...

ელიზა: რა იყო?... (*პაუზა. ანდრე ცდილობს, გაიაზროს*). იცი, მართლა კმაყოფილი ვარ, რომ გაგაცნობ. და მასაც ძალიან უხარია შენთან შეხვედრა. ბევრი ველაპარაკე შენზე. მისი მეშვეობით დავუკავშირდით „ცისფერ სახლს.“

ანდრე: „ცისფერ სახლს?“

ელიზა: კი.

ანდრე: ეგ რა არის? (*მადლენი მწვანე ხახვით ბრუნდება*). აჰ! შენ აქ ხარ!

მადლენი: აბა, სად გინდა, რომ ვიყო?

ანდრე: ეს „ცისფერი სახლის“ ამბავი რას ნიშნავს?

ელიზა: რა?

ანდრე: ეგ ამბავი... რას ნიშნავს?

ცოტა შეცბუნებული ელიზა მადლენისკენ ბრუნდება, და არ იცის, რა პასუხი გასცეს.

მადლენი: რაზე ამბობ?

ანდრე: „ცისფერი სახლი?“ (*დედა მხრებს იჩეჩს. არ იცის, ანდრე რაზე ლაპარაკობს*). ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ რაღაცას მიმალავთ. ეგ არ მიყვარს.

მადლენი: არა, არა! რას იგონებ!.. მართლა, მაგაზე გამახსენდა, შენთვის არ მითქვამს, ერთ შენს ნაცნობს გადავეყარე ბაზარში...

ანდრე: ვის?

მადლენი: ამ დილით. მადამ შარცი? მადამ შვარი? ეს არაფერს გეუბნება?

ანდრე: მადამ როგორ?

მადლენი: შარვცი. თუ რაღაც ასეთი.

ანდრე: არასდროს მსმენია.

ელიზა: მომეცი ხახვი, გავრეცხავ...

მადლენი: მადამ შვარცი თუ... ქუჩაში დამემგზავრა, შენზე სასაუბროდ. მითხრა, რომ კარგად იცნობდით ერთმანეთს... რომ წლების წინ გაიცანით... თავის ვაჟთან ერთად იყო... გავლით არიან, რამდენიმე დღით... შენი ამბების გაგება უნდოდა...

ანდრე: კი, მაგრამ, ისიც კი არ ვიცი, ვისზე საუბრობ!

მადლენი: შენს მეგობარზე გელაპარაკები...

ანდრე: ვინ მეგობარი?

მადლენი: მადამ შარცი?

ანდრე მხრებს იჩეჩს.

ელიზა: ის ქალი, წეღან რომ ესაუბრებოდი? ბაზარში? შავგვრემანი?

მადლენი: კი.

ელიზა: ცოტა უცნაური იყო, არა?

მადლენი: შენს მოსაკითხად უნდოდა მოსვლა...

ანდრე: ჩემი?

მადლენი: ჰო. იმის მიხედვით, რაც მან მითხრა, ბავშვობიდან იცნობთ ერთმანეთს. შემდეგ კი, პარიზში ერთ პატარა დაჯგუფებაში ტრიალებდით. ეს მისი ფრაზაა. „ერთი პატარა დაჯგუფება.“ ამიტომაც...

ანდრე: არ მითხრა, რომ აქ მოსვლა შესთავაზე...

მადლენი: ვიფიქრე, რომ გესიამოვნებოდა.

ანდრე (*კატასტროფულ მდგომარეობაში*)**:** რა?

მადლენი: ჩაიზე მოვიწვიე.

ანდრე: ხუმრობ? და, როდის?

მადლენი: ცოტა ხანში.

ანდრე: იმის თქმა გინდა, რომ აქ მოვა?

მადლენი: ეს ამბავი გაღელვებს?

ანდრე (*გაგულისებით*)**:** კი, მაგრამ, ისიც კი არ ვიცი, ეს ქალი ვინ არის. ისეთ გვარს მეუბნები, რომ არ მეცნობა... გერმანული გვარი... არა. არა. არ ვიცნობ. არანაირი კავშირი არ მაქვს ამ ყველაფერთან. მის ისტორიებთან. არანაირი, გესმის? ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შევალთ!

მალდენი: რას ლაპარაკობ?

ანდრე: უნდა გააუქმო... სახლის მისამართი მიეცი?

მადლენი: იცოდა. გეუბნები, შენზე ისე მელაპარაკებოდა, თითქოს იმ პერიოდში ძალიან ახლოს იყავით ერთმანეთთან. მადამ შუარცი? ისიც კი ვიფიქრე, თქვენ ხომ არ... მოკლედ, ხომ ხვდები.

ანდრე (*სიბრაზით ანთებული*)**:** ტყუის. არ ვიცი, ვინ არის ეგ ქალი. არც ის - რას ეძებს...

მადლენი: დარწმუნებული ვარ, რომ დაინახავ, იცნობ.

ანდრე: არა! არა! არა!

მადლენი: კი, მაგრამ, ასეთ მდგომარეობაში რატომ ჩავარდი?

ანდრე (*მოუსვენრად*)**:** უნდა უთხრა, რომ აქ არ ვარ; რომ გავემგზავრე.

მადლენი: მაგრამ...

ანდრე: უთხარი, რომ მოსვლა დააგვიანდა. მე აქ არ ვარ. სანახავად ხელმისაწვდომი არ ვარ. ცუდად ვარ ან რაც შენ გინდა.

მადლენი: თუ ასე გირჩევნია... ვიფიქრე, რომ გესიამოვნებოდა, ეს არის და ეს.

ანდრე: არა.

მადლენი: მე რომ ძველი მეგობარი მყოლოდა, რომელიც ისევ ჩემი მხედველობის არეში მოექცეოდა, გამეხარდებოდა, ფინჯან ჩაიზე მასთან ერთად საუბარი!

ანდრე: მე არა.

მადლენი: იმის გასაგებად, რას წარმოადგენს...

ანდრე (*ცოცხლად*)**:** გითხარი, რომ *არა.* გაიგე?

მადლენი: კი ბატონო. ეგ ტონი საჭირო არ არის.

ანდრე ოთახის კუთხეში მიიყუჟება. პაუზა. გარკვეული ნერვული დაძაბულობა იგრძნობა.

ელიზა (*მისკენ ნაბიჯს დგამს*)**:** მამა...

ანდრე: ყველა ჩემს წარსულში რატომ ჰყოფს ცხვირს? რას ეძებთ? არანაირი დანაშაული არ ჩამიდენია, როგორც ვიცი.

მადლენი: საწინააღმდეგოს არავინ ამბობს.

ანდრე: აბა, რა გინდათ? მშვიდად ყოფნის საშუალება მომეცით! და კიდევ ის, ჩემს ნაწერებში რომ იქექება...

მადლენი: ეს ნორმალურია. მსგავს გარემოებებში ყველა ასე იქცევა.

ანდრე: რა გარემოებები?

მადლენი: რა?

ანდრე: რა გარემოებები? რაზე ლაპარაკობ?

ელიზა (*ნაზად*)**:** კარგად იცი. (*პაუზა. ანდრე ცდილობს, მიხვდეს. ისე რატომ ლაპარაკობს, თითქოს ის გარდაცვლილი იყოს?*). სხვათა შორის, ვფიქრობ და ვერ ვხვდები, ვის შეიძლებოდა გამოეგზავნა ეს ყვავილები...

მადლენი: რა მნიშვნელობა აქვს?

ელიზა ყვავილებს გადასწევს.

ელიზა: ალბათ, ბარათი გადმოვარდა...

მადლენი: არადა, გარკვევით აღვნიშნე... არანაირი ყვავილები... მაგრამ არა. ყურად არავინ იღო. ყოველთვის ერთი და იგივეა.

ელიზა: რაც უნდა იყოს, კარგი სუნი აქვს.

მადლენი: ამის ატანა არ ექნებოდა.

ანდრე: ვის?

მადლენი (*თითქოს ანდრეს არაფერი უთქვამს*)**:** მთელი ეს ყვავილები... სასაცილოდ ჩათვლიდა. და ქუჩაში... შეამჩნიე? ფეხით რომ მივდივარ... ყველა მასზე მელაპარაკება...

ელიზა: ეს ბუნებრივია. ხალხი აღფრთოვანებაში მოჰყავდა.

მადლენი: შეიძლება. მაგრამ ეს ფორმა - ჩემთან განუწყვეტლივ მასზე საუბარი... ეს ყვავილებზე კიდევ უფრო მეტად გამაღიზიანებელია...

ელიზა: თუმცა, ის ქალი, შენ თქვი, რომ...

მადლენი: კი, ის სხვა შემთხვევაა. არ ვიცი. რაღაც განსაკუთრებული ჰქონდა, არა? (*ელიზა მხრებს იჩეჩს*). მადამ შვარცი... რატომ ამბობდი, რომ უცნაურად გამოიყურებოდა?

ელიზა: უბრალოდ, ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. თუმცა არ დავლაპარაკებივარ. პოლს ვესაუბრებოდი ტელეფონზე. არ გამიგია, რას ამბობდით.

მადლენი: მგონი, მას კარგად იცნობდა.

ანდრე: არა...

მადლენი: ახალგაზრდობაში. პირველი წარმატების ხანაში. უბრალოდ, სასიამოვნო იქნება ჩემთვის მასთან საუბარი.

ანდრე: არა.

მადლენი: ისეთ ადამიანთან საუბრის შესაძლებლობა, ვინც მას კარგად იცნობდა.

ელიზა: მესმის.

ანდრე (*პანიკაში*)**:** ვერ ვხვდები. *ვერაფერს.* ვერაფერს ვხვდები! (*ისინი ჩერდებიან და ანდრეს შეხედავენ, თითქოს პირველად გაიაზრეს მისი იქ მყოფობა. ანდრე, ჩახლეჩილი ხმით*). მე აქ ვარ.

მოქმედების წყვეტა. თითქოს სავარაუდებელია, რომ მას დაელაპარაკებიან, მაგრამ უცებ ისინი მას ვეღარ ხედავენ. თითქოს მირაჟი გაიფანტა. ისინი თავიანთ საქმეებს უბრუნდებიან.

მადლენი: კარგი, მე სადილს მოვამზადებ.

ელიზა: დარწმუნებული ხარ, რომ მოხმარება არ გჭირდება?

მადლენი: არა, არა. მე მივხედავ.

მადლენი სამზარეულოში მიდის.

ელიზა: როგორც გინდა.

ანდრე: მე აქ ვარ!

მადლენი: თუ კარგი ამინდი იქნება, შეგვიძლია, გარეთ ვისადილოთ.

ელიზა: კარგი აზრია...

ანდრე: მე... მე... აქ ჩემი სავარძელია. მე კიდევ შემიძლია მასზე დაჯდომა. აქ კი - ყვავილები... ისევ შემიძლია სურნელის შეგრძნება. იქ ფანჯარაა. კარი. სანათი. და მე. მე აქ ვარ. მე... შემომხედეთ... (*ურეაქციოდ*). მადლენ... (*მადლენს არ ემჩნევა, რომ ხედავდეს. შიშით მოცული ანდრე ელიზასკენ ბრუნდება, რომელიც მის სავარძელში ზის და*

უგულისყუროდ ფურცლავს წიგნს). მე ჯერ კიდევ აქ ვარ... მე ვარ... თქვენც ხომ ხედავთ! მე... მე აქ ვარ... თქვენ შორის. მე აქ ვარ. მე... არა? შეხედეთ. მე ისევ აქ ვარ. მე ვარ. გესმით ჩემი? მე აქ ვარ...

მაგრამ მისი საუბარი ჰაერში გაფანტულ სიტყვებს ჰგავს. შეშფოთება. პაუზა. სიბნელე.

2.

იმავე მისაღებ ოთახში, ცოტა მოგვიანებით. მადლენი და მადამ შვარცი ჩაის მიირთმევენ. ეს უკანასკნელი, შესაძლებელია, რომ მადლენზე უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდეს. ყოველ შემთხვევაში, თავისი გარეგნობის მიხედვით „ბავშვობის მეგობრის“ სტატუსი არ შეესაბამება. ელიზაც იქ არის. გარკვეული პერიოდი მობილურ ტელეფონშია თავჩარგული ისე, თითქოს ეს საუბარი დიდად არ აინტერესებდეს. კუთხეში ჩანს კაცი, რომლის იქ ყოფნის მიზეზი აუხსნელია. ყველა ისე იქცევა, თითქოს ის იქ არ იყოს. ასევე, თვითონაც არანაირ ყურადღებას არ იჩენს მისაღებ ოთახში მიმდინარე პროცესზე. თავისთვის საქმიანობს რაღაცას: შეუძლია, მაგალითად, დანებს ლესავდეს.

ქალი: ის ყველასგან განსხვავებული ადამიანი იყო. ხშირად ვფიქრობდი მასზე, მთელი ამ წლების განმავლობაში. მის წიგნებს ვკითხულობდი, რომლებიც გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე და ყოველ ჯერზე თვალწინ მიდგებოდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მე ვიცნობდი. იცით, მე მას ძალიან ვაფასებდი... და აი, დღეს შემთხვევით გხვდებით. ბაზარში მესმის, რომ ვიღაც თქვენს გვარს ახსენებს და ჩემს თავს ვეუბნები, „ ეს ის არის,“ და თქვენკენ ისე მოვდივარ, კარგად არც ვიცი, რის თქმას მოვახერხებ. თქვენ ერთად იყავით და... (*პაუზა*). თქვენ ორი ქალიშვილი გყავთ, ხომ?

მადლენი: დიახ. ანა და ელიზა. და... და თქვენ?

ქალი: ერთი ვაჟი.

მადლენი: აჰ?

ქალი: რომელიც წეღან ნახეთ.

მადლენი: აჰ, დიახ. დიახ.

ქალი: გადასარევი ბიჭი. მარტომ გავზარდე. და, აი.

ელიზა ტელეფონიდან თავს სწევს. პაუზა.

მადლენი: არც ისე დიდი ხნის წინ გაზეთიდან ამოჭრილი სტატია მაჩვენა. ერთი შემთხვევის შესახებ წერდნენ, რომელმაც დააინტერესა... შეიძლება, თქვენც გაქვთ გაგებული? ეს დაახლოებით სამი წლის წინ მოხდა... ხანშიშესული წყვილის ისტორია, რომლებმაც პარიზის ერთ-ერთ მდიდრულ სასტუმროში ლუქსის ტიპის ნომერი აიღეს... მგონი, „ლუტეციაში“. ეს რამეს გეუბნებათ?

ქალი: არ ვიცი.

მადლენი: ეს ის სასტუმრო იყო, სადაც ათეულობით წლის წინ დაქორწინდნენ. იმავე საღამოს, ძვირფას რესტორანში დიდებული ვახშმის შემდეგ, დასაძინებლად წასვლისას დაიბარეს, რომ არ გაეღვიძებინათ. და მეორე დილით, როცა დამლაგებელი, საბოლოოდ, მათ საძინებელში შევიდა, ისინი საწოლზე აღმოაჩინა. ჩაცმულები იწვნენ. ორივე. რაღაც ჰქონდათ მიღებული. სტატია იუწყებოდა, რომ ეს სოკოს ერთ-ერთი სახეობა იყო... ყოველ შემთხვევაში, ისინი აღარ სუნთქავდნენ.

ქალი: იმის თქმა გინდათ, რომ ეს სუიციდი იყო?

მადლენი: ერთ-ერთი მათგანი უკვე ცუდად იყო. თან, საკმაოდ ასაკოვნები იყვნენ. იცოდნენ, რომ წინ დიდად საინტერესო არაფერი ელოდათ. მოხუცთა თავშესაფრები, საავადმყოფოები, ეს ყველაფერი... ეს არ უნდოდათ. და არ უნდოდათ, რომ შვილებს ტვირთად დასწოლოდნენ. მოკლედ, თქვენც ხვდებით... მათ ღირსეულად წასვლა არჩიეს. ერთმანეთის მხრებს მიყრდნობილებმა.

ქალი: რა შემზარავი ამბავია.

მადლენი: ასე გგონიათ? მაშინ, როცა ეს სტატია წამიკითხა, მეც თქვენნაირი რეაქცია მქონდა. მაგრამ დღეს ჩემს თავს ვეკითხები, იქნებ...

ხანმოკლე პაუზა.

ელიზა: იქნებ, რა?

მადლენი: როგორ ვთქვა?! ვფიქრობ, ყველაზე მეტად იმის შესაძლებლობა აშფოთებდა, ვაითუ მასზე ადრე მოვმკვდარიყავი... ის ამას ვერ გადაიტანდა. სულ მარტო რომ დარჩენილიყო. ჩემ გარეშე ვერაფრის გაკეთებას ვერ მოახერხებდა. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემს თავს მნიშვნელობა შევმატო. მაგრამ ასე იყო. ყოველდღიური

ცხოვრების წვრილმან საკითხებში უუნაროსავით იყო. კონკრეტულ რაღაცებში. ამაზე ხანდახან თვითონაც საუბრობდა. ეს მისთვის კოშმარი იქნებოდა. ნამდვილი კოშმარი.

ქალი: რაღაც მხრივ...

მადლენი: დიახ. ეს ერთადერთი რამ არის, რაც მანუგეშებს. სიტყვა მიმაცემინა, რომ უფრო დიდხანს ვიცოცხლებდი. ცოტა სულელურად. რომ მასზე ადრე არ წავიდოდი. და მე იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, ვინც დანაპირებს არ ასრულებს. (*პაუზა. გამოერკვევა*). მაგრამ, ბოდიშს გიხდით, არ ვიცი, ამ ყველაფრის მოყოლით თავს რატომ გაბეზრებთ! პირიქით... თქვენ მესაუბრეთ! კარგად მაინც ვერ გავიგე, რა პერიოდში იცნობდით ერთმანეთს... თქვენ მასზე გაცილებით ახალგაზრდა ჩანხართ... (*ანა შემოდის*). აჰ, სწორედაც... აი, ჩემი მეორე ქალიშვილი...

ანა უახლოვდება და ესალმება.

ანა: გამარჯობა.

მადლენი: ანა, მადამ შვარი. მამაშენის ბავშვობის მეგობარი.

ანა: სასიამოვნოა.

ქალი: რეალურად, ბავშვობის... ერთი რეგიონიდან ვიყავით. შესაბამისად, როცა პარიზში წავედი სასწავლებლად, თავისდაუნებურად, ერთ წრეში ვტრიალებდით, საერთო მეგობრები გვყვავდა. განსაკუთრებით, ჟორჟი.

ანა: ჟორჟი?

ქალი: არ დაგიმალავთ, რომ კავშირი გვქონდა, ჩვენ ორს. ბევრი წლის განმავლობაში.

მადლენი: უკაცრავად?

ანა: კავშირი გქონდათ...

ქალი: დიახ. (*ხანმოკლე პაუზა. ნათქვამს აზუსტებს*). ჟორჟთან. რომელიც ანდრეს მეგობარი იყო.

მადლენი: აჰ.

ქალი: ჟორჟ დულონი. ეს არაფერს გეუბნებათ? მუდმივად მათ გარემოცვაში ვტრიალებდი... მოხიბლული ვიყავი მათით. ის პატარა ლიტერატურული გამოცემაც ერთად დააარსეს... მაგრამ ეს ყველაფერი ისეთი შორეული ამბებია. თითქოს საუკუნის წინ იყო.

პაუზა.

მადლენი (*თავის ქალიშვილებს*)**:** მამათქვენი რომ გავიცანი, თავის ცხოვრებაზე არ საუბრობდა. ხანდახან, დიდი ძალისხმევის შედეგად თუ დააცდენინებდი რამდენიმე სიტყვას.

ანა: ვიცი.

მადლენი: ძალიან იდუმალი კაცი იყო. (*პაუზა. ანას*). ჩაი გინდა? მოდი, დაჯექი ჩვენთან.

ანა: არა, გმადლობ. ისევ უნდა გავბრუნდე.

მადლენი: ჩემი ქალიშვილი ანდრეს ნაწერების მოწესრიგებითაა დაკავებული.

ქალი: აჰ, მართლა?

მადლენი: დიახ. ის დღიურის ტიპის ჩანაწერებს აწარმოებდა, რომელიც არასდროს გამოუქვეყნებია. და მისმა გამომცემელმა, რომელმაც ამ დღიურის შესახებ იცოდა, მისი მოძებნა სთხოვა. აქ სწორედ ამ მიზეზის გამოა.

ანა: ეს ერთადერთი მიზეზი არ არის.

მადლენი: აჰ, არა?

ელიზა: კარგად იცი, დედა, იმიტომ მოვედით, რომ შენ გვერდით ვიყოთ.

მადლენი: შენ, შეიძლება...

პაუზა.

ქალი: და ის დღიურები, წაიკითხეთ?

ანა: მხოლოდ დასაწყისი. ყოველთვის გარკვევით არ იკითხება...

ქალი: ვეჭვობ, ეს ამაფორიაქებელი უნდა იყოს, არა? შექმნიან კაცისგან რაღაც გაფეტიშებულ სახეს და უცებ აღმოვაჩენთ... სიმართლეს. და სიმართლე ყოველთვის, რაღაც მხრივ, სკანდალურია. თქვენ ასე არ ფიქრობთ?

პაუზა. უხერხული მდგომარეობის გასაფანტად მადლენი ჩაიდანს ქალისკენ სწევს.

მადლენი: თქვენ...

ქალი: სიამოვნებით. გემრიელი ჩაია.

მადლენი: გმადლობთ. (*ანას*). ისევ სძინავს?

ანა: არა. თითქოს, მისი ხმა გავიგე.

მადლენი: შეგიძლია, ნახო და უთხრა, რომ ჩვენი მეგობარი მოვიდა?

ელიზა: იყავი. მე წავალ.

ანა: არა, არა, მე მივხედავ.

ანა გადის.

მადლენი: ყოველდღე, ერთსა და იმავე დროს უნდა გამოიძინოს.

ქალი: აჰ.

მადლენი: დიახ. წლებია, ასეა. ვწუხვარ. მეგონა, უფრო ადრე გაიღვიძებდა.

ქალი: არ ინერვიულოთ. არ მეჩქარება...

პაუზა.

მადლენი: როგორც უკვე გითხარით, არის მომენტები, როცა სრულებით შეიგრძნობს რეალობას. ერთგვარი გამონათებები. შემდეგ კი დაბნეულობის, გაფანტულობის... დაბინდული პერიოდები... მაგრამ ვფიქრობ, ესიამოვნება, თქვენთან ერთად იმ ეპოქაზე საუბრის საშუალება რომ მიეცემა... წარსულის გახსენების საშუალება.

ელიზა: ყოველ შემთხვევაში, როცა ვუთხარით, რომ ამ დილით შემთხვევით შეგხვდით, გაეხარდა. იმის თქმა მინდა, ის ფაქტი, რომ თქვენი კიდევ ერთხელ ნახვის შესაძლებლობა მიეცემოდა... ასე არ არის?

ქალი: და აბა, მე მკითხეთ! ჩემთვის ის თავისი თაობის ყველაზე დიდი მწერალია! ისეთი აღფრთოვანებული ვიყავი მისით. (*პაუზა. ელიზასკენ*). ჩემს ძმასაც ჰქონდა ამ ტიპის... მასაც მეხსიერების პრობლემები ჰქონდა. მაგრამ ჩვენ ეს ძალიან გვიან აღმოვაჩინეთ. უნდა ითქვას, მისი ცოლი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ვერავინ მიმხვდარიყო.

მადლენი: აჰ, მართლა?

ქალი (*ელიზას*)**:** და ამას საკმაოდ მოხერხებულად აკეთებდა. შეკითხვებს მის მაგიერ პასუხობდა, ყოველთვის ასწრებდა საუბრის დაწყებას, სიტუაციას ის აკონტროლებდა... იმდენად კარგად, რომ რეალურად, ვერავინ შეაფასა მდგომარეობის სირთულე. მაინცდამაინც უნდა გარდაცვლილიყო ჩემი რძალი, რომ ეს ავადმყოფობა აღმოგვეჩინა.

ელიზა: და რა მოიმოქმედეთ?

ქალი: იძულებულები ვიყავით, სპეციალიზებულ დაწესებულებაში გადაგვეყვანა. ეს ძალიან მტკივნეული იყო.

ელიზა: წარმომიდგენია.

ქალი: მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი უცაბედად მოხდა. მისი ცოლი ისეთი... ძლიერი იყო. მასზე ახალგაზრდა. არავინ ელოდა, რომ პირველი ის წავიდოდა... და ერთ დღესაც, დილით ადგა, ბაღში სამუშაოდ გავიდა და გარდაიცვალა. ასე, უბრალოდ.

მადლენი (*თითქოს მასთან კავშირში იყოს*)**:** ბაღში საქმიანობისას? თქვენ... თავის ბოსტანს გულისხმობთ?

არავინ პასუხობს. ქალი ელიზას მაჯაში ისე ავლებს ხელს, თითქოს მხარდაჭერას გამოხატავს.

ქალი: ნუ ღელავთ. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება.

ელიზა: იმედი ვიქონიოთ. (*ანდრე გამოჩნდება, ანასთან ერთად. ის მადამ შვარცს ამჩნევს*). აი, შენც გაიღვიძე!

ანდრე: არა.

ელიზა: მოდი, ჩაი დალიე ჩვენთან ერთად! გელოდებოდით.

ანდრე: რას...

ქალი დგება.

ქალი: ანდრე! როგორ ხართ?

ანდრე: მე?

ქალი: იმდენი დრო გავიდა...

ანდრე კითხვის გამომხატველი მზერით შეხედავს თავის ცოლს. ვინ არის ეს ქალი?

მადლენი: ხომ გითხარი, რომ ამ დილით შემთხვევით შენს მეგობარს შევხვდი.

ანდრე: აჰ, ჰო?

მადლენი: ბაზარში.

ანდრე (*თითქოს გაიხსენა*)**:** აჰ, ჰო!

მადლენი: კი! და ჩაიზე დავპატიჟე ჩვენთან. მადამ სკარცვი. გახსოვს?

ქალი: როგორ მიხარია თქვენთან კვლავ შეხვედრა! იცით, თქვენზე ხშირად ვფიქრობდი...

ანდრე: სასიამოვნოა. მაგრამ...

ქალი: მთელი ამ წლების განმავლობაში...

ანდრე: დიახ, დიახ. ასეა. ასეა? დიახ, დიახ. დიახ, ასეა. ნამდვილად ასეა? ასეა. ეს. ასეა. დიახ, დიახ, დიახ.

მადლენი (*ცოტა შერცხვენილი*)**:** მადამ სკარცი გავლით არის ჩვენს რეგიონში. ვიფიქრე, ერთმანეთის ნახვა გაგეხარდებოდათ. (*ქალისკენ ბრუნდება*). თუ კარგად მივხვდი, მისი კარიერის დასაწყისში მეგობრობდით?

ქალი: დიახ. პატარა დაჯგუფებასავით იყო... როგორც უკვე მოგახსენეთ, ანდრე და ჟორჟი განუყრელები იყვნენ. თავისი პირველი რომანი ახალი გამოქვეყნებული ჰქონდა. ასე არ არის? უკვე ცნობილი იყო. ყველას აღაფრთოვანებდა. ეს... მაგრამ იმას ვერ ვიტყვით, რომ გამორჩეულად ახლო ურთიერთობა გვქონდა.

მადლენი: აჰ, არა? მე ვფიქრობდი, რომ...

ქალი: არა. შემდეგ, კი, გვქონდა, ასე ვთქვათ, განსაკუთრებული კავშირი.

ანა: განსაკუთრებული?

ქალი: დიახ. მგონი, ეს სიტყვა შეესაბამება, არა?

ანდრე: არ ვიცი.

ქალი: გუშინდელი დღესავით მახსოვს. ყველა ერთად გავემგზავრეთ არდადეგებზე საერთო მეგობართან... ლორანი. გახსოვს?

ანდრე: ლორანი?

ქალი: კი, მე...

ანდრე: ლორან მარინიანი?

ქალი: დიახ! ასეა. გვარი აღარ მახსოვდა.

ანდრე: მარინიანი იყო.

ქალი: დიახ!

ანდრე: მომხიბლავი ყმაწვილი. მამამისმა რაღაც ბუნდოვანი გზებით დააგროვა ქონება...

ქალი: გამახსენდა! ზუსტად ასე იყო!

ელიზა (*თავის დას*)**:** ხედავ? გაიხსენა.

ანდრე: იარაღით მოვაჭრე, თუ რაღაც ეგეთი... არა?

ქალი: რა? მე... არ ვიცი.

ანდრე: ნარკო-დილერი.

ქალი: მე... ასე გგონიათ?

ანდრე: თუ ღორის ფერმის მეპატრონე.

ქალი: უფრო, ჟურნალისტი არ იყო?

ანდრე: დიახ, ასეა.

ქალი: ყოველ შემთხვევაში, ის სახლი ჰქონდათ... სანაპიროზე, კორსიკაზე... და იქ გავემგზავრეთ.

ანდრე: დიახ, დიახ. თვალწინ დამიდგა ზღვა. ცისფერი იყო. ჰორიზონტზე გადაჭიმული.

ქალი (*გოგონებს*)**:** ყველა პლაჟზე ატარებდა მთელ დღეს, მაგრამ ის სახლში რჩებოდა სამუშაოდ. წერდა. გაუჩერებლად წერდა. და ერთ დღეს, ზუსტად, პლაჟიდან სხვებზე ადრე დაბრუნებული, უნებლიედ, ბიბლიოთეკაში შევედი. ჩვევა ჰქონდა, სამუშაოდ იქ უნდა განმარტოებულიყო. და დავინახე, რომ ტიროდა. ეს მთელი ცხოვრება მემახსოვრება. ის ტიროდა. როგორ აგიხსნათ? არასდროს მინახავს, ვინმე ასე ტიროდეს... როგორც ჩაბჟირებამდე მისული ბავშვი, და ამან მთლიანად შემძრა. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. მისი მწუხარების ინტენსიურობით ვიყავი მოხიბლული. ჰოდა, მივუახლოვდი და ისე, რომ არც დავფიქრებულვარ, ვაკოცე.

მადლენი: თქვენ...

ქალი: ვაკოცე და სიყვარულს მივეცით თავი. სიტყვისუთქმელად. (*მადლენს ფინჯანი გადაუყირავდება*). ამის შემდეგ, დიახ, შეიძლება ითქვას, რომ მყარი ურთიერთობა გვქონდა. ამბობდა, რომ მე ერთადერთი ვიყავი, ვისაც მისი ნუგეშისცემა შეეძლო. (*მადლენი თავს ისე აჩვენებს, თითქოს მაგიდის მოწესრიგებითაა დაკავებული. ის ფინჯანს ასწორებს, ლანგარზე დებს და სამზარეულოში გააქვს, თავისი ქალიშვილების აღელვებული მზერის ქვეშ*). ეს რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. მისი დაქორწინების შემდეგაც კი, ახლა უკვე შემიძლია ამის თქმა... დროსთან ერთად ამ ტიპის დეტალები თავის მნიშვნელობას კარგავს. არა? თავის ნაწერებს მაკითხებდა. გამუდმებით. სულ მის

გვერდით ვიყავი. აცხადებდა, რომ წერის გასაგრძელებლად ჩემი აზრის მოსმენა სჭირდებოდა; რომ მე მისი ცხოვრების ქალი ვიყავი. მისი ცხოვრების ქალი... განუწყვეტლივ ამას იმეორებდა. მაგრამ, ვფიქრობ, უფრო თავაზიანობის გამო ამბობდა.

ანა: კი, მაგრამ, ვისზე საუბრობთ?

ქალი: რა?

ანა: ვისზე საუბრობთ?

ქალი: ჟორჟზე! ჟორჟ დულონზე.

ანა: აჰ... თქვენ...

ქალი: ანდრეს მეგობარი. გახსოვთ? ის ლიტერატურული კრებული ერთად დააარსეთ...

ანა: გახსოვს ეს ჟორჟ დულონი?

ანდრე: ვინ?

ქალი: სამწუხაროდ, მას თქვენნაირი კარიერა არ ჰქონია. ავტო-კატასტროფაში დაიღუპა. უაზროდ დაკარგული სიცოცხლე.

ანდრე: უკაცრავად, მე... მე მგონი, გეშლებათ... არ ვიცნობ იმ... ვინც თქვით... კონკრეტულად, ვისზეა საუბარი?

ქალი: თქვენი აზრით? (*ხანმოკლე პაუზა*). წლების განმავლობაში ვთხოვდი თავისი ვაჟის შვილად აღიარებას. მაგრამ ამ მხრივ, გამბედავი არასდროს ყოფილა. დაქორწინებული იყო. შვილები ჰყავდა. მოკლედ, კლასიკური სიტუაცია...

მადლენი (*შეშფოთებული*)**:** მის ამბავს ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო.

ქალი: ის ყოველთვის ამბობდა: „შენ თვითონ მოაგვარებ ჩემი სიკვდილის შემდეგ ...“ ეს მისი ჩვეული ფრაზა იყო. „ამის გაცხადების დრო ყოველთვის გექნება, ჩემი სიკვდილის შემდეგ...“

მადლენი: მაგრამ, ვინ?

ქალი: ასე რომ, მე არაფერი მითქვამს. ველოდებოდი. და სულ მარტომ გავზარდე. მაგრამ აუცილებელია, რომ ერთ დღეს მსგავსი საკითხები მოგვარდეს. თქვენ ასე არ ფიქრობთ? როცა კაცი უარს აცხადებს თავისი ვაჟის შვილად ცნობაზე, ეს არაფერს ცვლის იმ მხრივ, რომ ამ ვაჟს მამა ჰყავდა. ამაზე საუბრისას მემკვიდრეობის საკითხებს არ ვგულისხმობ, ჩვენ შორის ყველაფერი ცხადი რომ იყოს...

მადლენი (*აფორიაქებული*)**:** კი, მაგრამ, *ვისზე* ლაპარაკობს? ანდრე...

ელიზა: მამა!

ანდრე: ნაშთები, ნარჩენები. ისიც ძლივძლივობით.

ელიზა: რა?

ანდრე: ჩვენ გვჯერა საკუთარი ცხოვრებისა. მასზე ზემოდან განვერთხმებით ხოლმე, როგორც კლდის სოლიდურ შვერილზე. მაგრამ დღეს რა ღირებულება აქვს ამას? არანაირი კავშირი. აი, ეს არის პრობლემა.

ანა: რა თქვა?

ანდრე: მე ჩემი ცხოვრება მქონდა. საწინააღმდეგოს არ ვამბობ. მაგრამ, საბოლოოდ, მისგან რა დარჩა? რაღაც სახეები? ნისლში გახვეული ვიღაცების სახელები? აქა-იქ... ბევრი არაფერი... ამ ყველაფრის დავიწყება ჯობია. (*პაუზა. უსიამოვნო მომენტი. მადლენი შეეშვება ფინჯნებს, სამზარეულოს ტოვებს და ანდრეს აღელვებული მზერის ფონზე უჩუმრად მიდის საძინებლების მიმართულებით*, *როგორც გულნატკენი იმ ყველაფრით, რაც ეს-ესაა, გაიგო. ანდრე ეჭვებშია: რატომ გავიდა? რა ხდება? ნაბიჯს დგამს მისი მიმართულებით*). სად მიდიხარ?

ელიზა: მამა... ეს საუბარი რაღაც აბდაუბდას ემსგავსება, ასე მგონია...

ანა (*ირონიულად*)**:** ასე გგონია? ეს უკვე აღარაფერს ჰგავს.

ელიზა: მე... ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ დასაწყისიდანვე სხვადახვა საგანზე ვლაპარაკობთ.

ანდრე: ასე რატომ წავიდა? მე ვთქვი რამე?

ანა: ვინ?

ანდრე: დედა...

გოგონები ერთმანეთს შეხედავენ. ისევ მასზე რატომ საუბრობს?

ელიზა: მისმინე, მინდა, რომ ეცადო და გაიაზრო ჩვენი თითოეული ნაბიჯი...

ანდრე: რა გავიაზრო?

ელიზა: მადამ შარცი...

ანდრე (*საუბარს აწყვეტინებს*)**:** კი, ვიცი, ვიცი. უკვე მითხარი.

ელიზა: არა, არ იცი.

ქალი: ნუ ღელავთ. მისი მხრიდან ასეთი რეაქცია ნორმალურია...

ელიზა (*მადამ შარტს, თითქოს შექმნილი სიტუაციის გამო უბოდიშებს*)**:** არა, ვწუხვარ.

ქალი: როგორ არა. ყველას სჭირდება დრო, ახალ სიტუაციასთან შესაგუებლად.

ელიზა: ეს ისე მოულოდნელად მოხდა.

ქალი: ვიცი.

ელიზა: მზად არ ვიყავით. არც ის, არც ჩვენ.

ქალი: მესმის.

ელიზა: ის ისეთი ენერგიული იყო... ისეთი სიცოცხლით სავსე!

ანდრე ელიზასკენ ბრუნდება. რას ლაპარაკობს?

ანა: წლების განმავლობაში ვიცოდი, რომ ერთ დღეს ჩემი მობილური ტელეფონი დარეკავდა და მსგავს ამბავს მამცნობდნენ. ცუდ ამბავს. ამ აზრს შეგუებული ვიყავი. მაგრამ უცნაური ის არის, რომ ამას არ ველოდი.

ელიზა: არც მე. უნდა ითქვას, რომ ის უფრო ახალგაზრდა იყო. ისეთი ძლიერი იყო, ისეთი აქტიური.

ანა: მაგრამ, ჩვენ რა შეგვიძლია? ისღა დაგვრჩენია, რომ არსებულ სიტუაციას მოვერგოთ. მწუხარების მიუხედავად, თავისთავად ცხადია. (*ახლა მამამისს მიმართავს*). ამიტომაც, მამა...

პაუზა.

ელიზა: მამა...

ანდრე: რა?

ელიზა: მადამ არმანემ მოგვიყვა, რომ მისი ძმა... (*ელიზა ქალისკენ ბრუნდება*). ხომ ასეა?

ქალი: დიახ, ჩემი ძმა... მანაც დაკარგა მეუღლე, ორი წლის წინ. გადაჯაჭვულებივით იყვნენენ...

ელიზა: და მისი... მისი წასვლის შემდეგ...

ქალი: დიახ. იძულებულები გავხდით, შესაბამისი გამოსავალი მოგვეძებნა.

ანა: რომ ის კაცი მარტოდმარტო არ ყოფილიყო.

ქალი: ასეა.

ელიზა: და ასე გაიგეთ „ცისფერი სახლის“ შესახებ...

ქალი: ზუსტად. ის იქ დაბინავდა და ეს მართლაც... მოკლედ, ყველაფერი კარგად არის ორგანიზებული. შესანიშნავი იყო. ძალიან სასიამოვნო და... პატარა ოთახი ჰქონდა, პარკზე ხედით...

ელიზა: აჰ, გაიგე, მამა? პარკიც ყოფილა.

ქალი: ყოველდღე შეეძლო იქ სეირნობა. დანარჩენებთან ერთად. ან მარტო, თუ ასე ერჩივნა.

ანა: და მე ვნახე, რომ იქ ტბაც იყო, ხომ?

ქალი: დიახ, ტბაც არის. იხვებით. სწორედაც, რამდენჯერაც მის სანახავად მივედი, ყოველთვის ერთსა და იმავე სკამზე იჯდა, ტბის პირისპირ და იხვებს პურის ნამცეცებს უყრიდა. ეს ძალიან უყვარდა. იქ მითხრეს. ბოლომდე ასე აჭმევდა იხვებს.

პაუზა. ანდრე იმ კართან მიდის, საიდანაც მადლენი გავიდა. კარს აღებს. ჩერდება. მადლენი სად არის? ანდრე გოგონებისკენ ბრუნდება.

ანა: იცი, ამ ყველაფერზე ბევრი ვიფიქრეთ, და თუ ამაზე გესაუბრებით, იმიტომ, რომ გულწრფელად გვჯერა, ეს საუკეთესო გამოსავალია. მაგრამ გვინდოდა, რომ მადამ არმანე თვითონ გაგსაუბრებოდა.

ქალი: იქ ძალიან კარგად იქნებით, ანდრე. დამიჯერეთ.

ანა: ჰო, იქ ბედნიერი იქნები.

ელიზა: ანა მართალს ამბობს. ყველაფერი კარგად აეწყობა...

ანდრე: მაგრამ ისინი, საბოლოოდ, მიფრინავენ.

ელიზა: როგორ?

ანდრე: იხვები. საბოლოოდ, მიფრინავენ. და შემდეგ სვავების ჯერი დგება. ვუყურებთ, თავზე როგორ დაგვტრიალებენ.

ანა: შენ რას...

ანდრე: სვავები. ეგენი დღისით-მზისით ეძებენ საკბილოს.

ანამ არ იცის, რა უპასუხოს. ანდრე ყვავილების თაიგულისკენ მიდის, რომელიც ისევ ოთახის შუაგულში დგას. რაღაცას ეძებს ყვავილებში. ბარათს?

ელიზა: რას აკეთებ, მამა? რას ეძებ?

ანდრე: აზრს!

ანა: მამა...

ანდრე: სიბნელეში, ჩვენ მას მივაგნებთ. კარს ვიპოვით. იმიტომ, რომ ერთი მაინც ხომ უნდა ჰქონდეს, არა? ამ ყველაფერს რაღაც აზრი უნდა ჰქონდეს! არა? (*კუთხეში კაცი სიცილს იწყებს, დანების ლესვის პარალელურად*). თუ არადა, სად არის ჩემი ადგილი? სად არის ჩემი ადგილი, აქ? სად არის ჩემი ადგილი? ჩემი ადგილი! სად არის აქ ჩემი ადგილი? ჩემი ადგილი. აქ. სად არის? სად არის? ჩემი ადგილი... სად არის ის? (*უცებ ის თავისი ქალიშვილებისკენ ბრუნდება. თითქოს თავის ცოლზე საუბრობდა და იმ კარზე მიანიშნებს, საიდანაც მადლენი გავიდა. ემოციურად*). ის სად არის?

სიბნელე.

3.

მეორე დილა. ელიზა კაცთან ერთად არის.

ელიზა: ისევ ბრაზობ ჩემზე? (*კაცი არ პასუხობს*). ისევ გაბრაზებული ხარ?

კაცი: არა, არა.

ელიზა: რაც უნდა იყოს, ძალიან ბედნიერი ვარ შენი აქ ყოფნით.

კაცი: ჰო?

ელიზა: კი. მართლა. მიხარია, მისი გაცნობა რომ მოახერხე. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, შენი აქ მოსვლა და გვერდში დგომა.

კაცი: რას ამბობ?! ეს ნორმალურია.

ელიზა: ყავა კიდევ გინდა? (*კაცი თავს იქნევს უარყოფის ნიშნად*). პარიზში რომელ საათზე უნდა იყო? შუადღით, ხომ? ერთ საათში უნდა გავემგზავროთ, თუ არ გინდა, რომ დაიგვიანო.

კაცი: ძალიან კარგი. მაგრამ შენ შეგიძლია კიდევ დარჩე აქ...

ელიზა: არა. შენთან ერთად მინდა ყოფნა. (*ელიზა უღიმის*). უბრალოდ, მინდა, რომ წასვლისას სასაფლაოზე შევიაროთ, თუ არ შეწუხდები.

კაცი: კარგი.

ელიზა: გზად გავიაროთ. ბევრ დროს არ წაიღებს.

კაცი: კი ბატონო. არ არის პრობლემა.

ელიზა: გულწრფელად რომ გითხრა, ცოტა მეშინოდა, როგორი რეაქცია ექნებოდა.

კაცი: მამაშენს?

ელიზა: კი. ხომ იცი, დიდი ხნის უნახავი მყავდა. რამდენიმე კვირისა... არ მეგონა, რომ ამდენად... იმის თქმა მინდა... გუშინ, მაგალითად, შევცდი, რომ ოჯახის მეგობარი მოვიწვიე ჩაიზე. ვერც კი იცნო...

კაცი: კი, ეგ მითხარი.

ელიზა: ეს ისეთი უცნაური იყო. ამას მის მზერაში ვკითხულობდი. გაოგნებული იყურებოდა... თავში სრული ქაოსი ჰქონდა... ამიტომაც, ცოტა მეფიქრებოდა, როგორი რეაქცია ექნებოდა შენთან მიმართებაში.

კაცი: თუმცა, საბოლოოდ, როგორც ნახე, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

ელიზა: კი. ძალიან კარგად. მომხიბლავი იყო, არა? ვერც კი წარმოიდგენ, რა ტიპის კაცი იყო... ისეთი განსაკუთრებული ძალა ჰქონდა... ყველას აღაფრთოვანებდა. თუმცა რეალურად, რასაც მიაღწია, ძირითადად, დედაჩემის დამსახურებით. ის ყოველთვის აქ იყო. ზურგს უმაგრებდა... მისი წასვლა საკმარისი აღმოჩნდა, რომ მთლიანად მოშლილიყო... ანუ ყოველდღიურ ცხოვრებაში ორიენტირების უნარი რომ დაეკარგა...

კაცი: კარგი, დამშვიდდი...

ელიზა: და ჩემს დაზე რას იტყვი, როგორია?

კაცი: სასიამოვნო.

ელიზა: არა, სერიოზულად... მითხარი... (*კაცი იღიმის*). მეთანხმები? (*კაცი თავის დაქნევით აძლევს დასტურს*). ყოველთვის ასეთი იყო. იმდენად სერიოზული... პატარაობისას მასზე ვეჭვიანობდი.

კაცი: შენ?

ელიზა: საშინლად დაკომპლექსებული ვიყავი, იმიტომ, რომ მეც ისეთივე... როგორ ვთქვა?! მათნაირი არ ვიყავი. სხვა ინტერესები მქონდა. ნაკლებად მნიშვნელოვანი, უეჭველად. ჩემს დას უნდოდა, რომ ეწერა. ეს იყო ის, რისი კეთებაც სურდა ცხოვრებაში. წერა. დიდი ამბიცია ჰქონდა და საბოლოოდ კი, არაფერი გააკეთა.

კაცი: რატომ?

ელიზა: არ ვიცი. შესაძლოა, მამას შემდეგ ამ გზის გავლა რთული იყო. მასთან მარტივი ურთიერთობა არასდროს ჰქონია. სხვათა შორის, მამაზე რაღაცაზე ნაწყენია, მაგრამ რატომ, არ ვიცი.

ანა შემოდის.

ანა: ჩემზე ლაპარაკობ?

ელიზა: აჰ! უკვე გაიღვიძე?

ანა: რას ჰყვებოდი?

ელიზა: არაფერს. იმას ვამბობდი... პოლს ვუხსნიდი, რომ მამასთვის შენ ყოველთვის გამორჩეულად საყვარელი შვილი იყავი. (*ანა ელიზას განმგმირავ მზერას ესვრის*). ასე რატომ მიყურებ? რა, მართალი არ არის?

ანა: გეყოფა სისულელეების ლაპარაკი. უკვე გაიღვიძა?

ელიზა: არ ვიცი.

ანა: თქვენ კარგად გეძინათ?

კაცი: ძალიან კარგად. მართლა... როგორი სიმშვიდეა ამ სახლში!

ანა: ყავა უნდა ვინმეს?

კაცი: არა, გმადლობთ.

ელიზა: ჩვენ უკვე ვისაუზმეთ. ისე, ძალიანაც აღარ დავაყოვნოთ.

ანა: რა? შენ დღეს აპირებ წასვლას?

ელიზა: ჰო. პოლი შუადღისთვის პარიზში უნდა იყოს. უფრო დიდხანს დავრჩებოდით, მაგრამ...

კაცი: დიახ, ეს მნიშვნელოვანი შეხვედრაა. ვწუხვარ.

ელიზა: წასვლის წინ სასაფლაოზე დავგეგმეთ გავლა. ჩვენთან ერთად თუ გინდა წამოსვლა... ან თუნდაც, ხომ არ გინდა, პარიზში წაგიყვანოთ? ადგილი არის მანქანაში...

ანა: და ის?

ელიზა: რა?

ანა: მარტოდმარტო აპირებ აქ მის დატოვებას?

პაუზა.

ელიზა: ასეთი ტონით რატომ მეუბნები?

ანა: როგორი ტონით?

ელიზა: საყვედურნარევი... თითქოს მიტოვებული მყავდეს...

ანა: მე ეგ არ მითქვამს.

ელიზა: მაგრამ იგულისხმე.

ანა: სულაც არა.

ელიზა: თითქოს ამ სიტუაციაში ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვერ ვგრძნობდე.

ანა: გრძნობ?

პაუზა.

ელიზა: არ მესმის, ამ ფორმით... ცხადია, ვხვდები, რომ ეს ამბავი მეც მეხება! როგორ შეგიძლია, საწინააღმდეგო იფიქრო?! (*პაუზა. თავისი სიტყვების განმტკიცებას ცდილობს*). ზუსტად ახლა ვეუბნებოდი პოლს, რომ სრულებით შეძრული ვიყავი იმით, რა სიტუაციაშიც გუშინ ვნახე.

ანა: ამას ისე ამბობ, თითქოს ახლა აღმოაჩინე მისი მდგომარეობა.

ელიზა: წარმოდგენაც არ მქონდა, თუ ასე... შორს იყო საქმე წასული.

ანა: ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი ხანია, მათ სანახავად არ ყოფილხარ.

პაუზა.

ელიზა: როგორც უნდა იყოს, პოლი დირექტორს ესაუბრა ტელეფონით...

კაცი: დიახ...

ელიზა: და მომდევნო ხუთშაბათს ადგილზე მისვლა და იქაურობის დათვალიერება შემოგვთავაზა.

ანა: ეგ უკვე მითხარი, კი.

ელიზა: აბა, მაშ, რატომ მეკითხები, ვალდებულად ვგრძნობ თუ არა თავს? (*პაუზა*). დარწმუნებული ვარ, რომ პარკი მოეწონება. მას ხომ სიარული ისე უყვარს... შენ როგორ გგონია? (*უცებ, ანდრე გამოჩნდება*). აჰ, მამა!

ანა: უკვე ადექი? კარგად გეძინა?

ანდრე არ პასუხობს.

ელიზა: მოდი, დაჯექი... შენი ორცხობილები გაგიმზადე.

ანდრე: ახლა დილაა?

ანა: კი.

ანდრე: დედათქვენი სად არის?

ელიზა: მარწყვის ჯემით, შეხედე... მოდი, დაჯექი. ანა, შენ გინდა რამე?

ანა: არა, მე მარტო ყავას დავლევ. გმადლობ.

ანდრე: ამ დილით არ მინახავს. აქ არ არის?

ანა: არა.

ანდრე: საყიდლებზე წავიდა? (*პაუზა*). თუ თავის ბოსტანშია?

ელიზა: უეჭველად, კი.

ანდრე: აჰ. (*ანდრე ფანჯარასთან მიდის, რომ იქნებ თვალი მოჰკრას*). ამ დილით არ გამაღვიძა. ვერ ვიტან, როცა ბოლო ვდგები.

ელიზა: მოდი, მოდი... დაჯექი.

ანდრე ახლაღა ამჩნევს კაცს.

ანდრე: მაგრამ... ეგ ვინ არის?

კაცი: გამარჯობა, ბატონო...

ანდრე ელიზას შეხედავს. იგრძნობა, რომ კაცს ვერ სცნობს.

ელიზა: პოლი გახსოვს?

ანდრე: აჰ... დიახ. მე... აბა, როგორ მიდის საქმე?

კაცი: რას გულისხმობთ?

ანდრე: ავტო-სკოლას.

კაცი: ბოდიში?

ელიზა: არა, მამა აგერია... პოლი ავტო-სკოლაში არ მუშაობს. ის უძრავი ქონების აგენტია.

ანდრე: აჰ, თქვენ... ეს თქვენ ხართ? ეს ის არის? ის არის?

ანა: ელიზამ ამ დილით გადაწყვიტა წასვლა. უფრო დიდხანს ისურვებდნენ დარჩენას, მაგრამ პოლს, სწორედაც, სამსახურებრივი შეხვედრა აქვს. ასეა, ხომ?

კაცი: ზუსტად. ვიზიტი. მართალია კვირაა, მაგრამ ჩემს კლიენტებს მხოლოდ ამ დღეს სცალიათ. ვწუხვარ.

ანდრე: თქვენ უძრავი ქონების აგენტი ხართ?

კაცი: დიახ.

ანდრე: მაგრამ... და ჩემმა ქალიშვილმა გთხოვათ მოსვლა?

კაცი (*გაურკვევლობაშია*)**:** დიახ.

ანა: მოკლედ, იმას გეუბნებოდი, რომ ელიზა უნდა წავიდეს, მაგრამ ხუთშაბათს ისევ ნახავ. ხომ ასეა?

ელიზა: კი, ხუთშაბათს დავბრუნდები და მთელ დღეს ერთად გავატარებთ, რომ... სასეირნოდ წავალთ პარკში.

ანა: კარგი?

ანდრე: მაგრამ...

ანა: რა იყო?

ანდრე: ეს უძრავი ქონების აგენტის ამბავი...

ანა: რა?

ანდრე: მე სახლის გაყიდვა არ მინდა.

ანა: კი, მაგრამ, სახლის გაყიდვაზე არავინ საუბრობს, მამა.

ანდრე: წინა დღეებში მითხარი...

ანა: არა, მამა, არა... გეხვეწები, შეწყვიტე ამაზე ლაპარაკი.

ანდრე: მაგრამ შენ მითხარი...

ანა: ასეთი რამ შენთვის არასდროს მითქვამს.

ანდრე: უკაცრავად, მაგრამ შენ მითხარი...

ანა (*გაღიზიანებული*)**:** რა? (*ხანმოკლე პაუზა. ანდრემ აღარ იცის*). არავის ინტერესში არ შედის ამ სახლის გაყიდვა. ეს რატომ უნდა გვინდოდეს?

პაუზა.

ელიზა: კარგი. ჩემს ბარგს მივხედავ.

ანდრე: უკვე ისაუზმე?

ელიზა: კი, გმადლობ. მე... მალე მოვალ.

ანა (*ელიზას*)**:** შეიძლება, ერთი წუთით დაგელაპარაკო?

ელიზა: რა? კი, თუ შენ გინდა...

ანა: ახლავე დავბრუნდები.

ისინი გადიან. პაუზა.

კაცი: ნებისმიერ შემთხვევაში, ძალიან ლამაზი სახლია. საერთოდ არ გაგიჭირდებოდათ მეპატრონის პოვნა, გაყიდვას თუ გადაწყვეტდით... იმის თქმა მინდა... საკმაოდ დიდი სივრცეა და თან, ნათელი... რაღაც ისეთი აქვს... არა? (*ნაბიჯს დგამს ანდრესკენ, რომელსაც შეშინებული სახე აქვს*). არ მეთანხმებით? დარწმუნებული ვარ, რომ ერთ აზრზე ვართ. ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხზე მაინც.

ანდრე: მე... არ ვიცი. შეიძლება.

კაცი: საკუთარი აზრი არ გაგაჩნიათ? (*კიდევ ერთ ნაბიჯს დგამს. მუქარა იგრძნობა. ანდრე უკან იხევს*). აბა... დარწმუნებული ვარ, რომ რამე პატარა მოსაზრება გექნებათ ამ თემაზე.

ანდრე: არა.

კაცი: საწინააღმდეგოს ფიქრობთ? ასეა? გულწრფელად მითხარით. (*კაცის მობილური ტელეფონი რეკავს. ის ტონს იცვლის*). აჰ, მაპატიებთ? ჩემი კოლეგაა... აუცილებლად უნდა ვუპასუხო... ეს მიმდინარე შემთხვევას ეხება და... გთხოვთ, მომიტევოთ. (*ის ანდრესგან მოშორებით მიდის და მისაღები ოთახის კუთხეში ჩერდება. ანდრე შვებით ამოისუნთქავს. ის ირგვლივ აცეცებს თვალებს*). ალო? არა, არა, ისევ იქ ვარ... (*უცებ, ანა ბრუნდება. კაცი ტუჩზე იდებს თითს, უხმოდ რომ ანიშნოს. ტელეფონზე*). არა, არა, ნუ ღელავ, სიტუაციას ვაკონტროლებ.

ანა: მაპატიე, მამა.

ანდრე (*ანას*)**:** დედაშენი სად არის? ისევ ბაღშია? ვერ ვხედავ... (*ისევ ფანჯრისკენ აპარებს თვალს. აფორიაქებული სახე აქვს. კაცს შეუძლია, საბოლოოდ, გარეთ გავიდეს, მათი*

თანდასწრებით რომ არ ისაუბროს). შეიძლება, საყიდლებზეა წასული. შენც ასე გგონია? ამ დილით არ მინახვს და ამიტომ ვღელავ.

ანა: მამა...

ანდრე: რა? ჩემს თავს ვეკითხები, ეს არის და ეს.

პაუზა.

ანა: აი... შენს ყავას აქ ვდგამ. ცხელია.

ანდრე: არ მინდა ყავა.

ანა: ეს შენი საუზმეა.

ანდრე: ახლა დილაა?

ანა: კი.

ანდრე: აჰ? კარგი. (*ანა მაგიდაზე დგამს ყავას. ანდრე სასაუზმოდ ჯდება*). და ჩემი ორცხობილები?

ანა: მანდ არის.

ანდრე: გმადლობ. თან...

ანა (*მექანიკურად აწყვეტინებს სიტყვას*)**:** მარწყვის ჯემით, კი. (*ანა მის გვერდით ჯდება. პაუზა. ანდრეს კმაყოფილი სახე აქვს*). კარგია? როგორიც გიყვარს, ისეთია?

ანდრე: ჰო.

ანა: მით უკეთესი. (*პაუზა*). მამა... მინდოდა, დაგლაპარაკებოდი...

ანდრე: გისმენ.

ანა: როგორ გითხრა?! ხომ იცი... შენმა გამომცემელმა შენი ნაწერების მოწესრიგება მთხოვა... გახსოვს? დიდი ხნის წინ მას დღიურის ტიპის ჩანაწერებზე ესაუბრე... (*პაუზა*). მე ის ვიპოვე და წავიკითხე.

ანდრე: რაზე ამბობ?

ანა: ეს ჩანაწერები. წუხელ წავიკითხე. (*პაუზა*). არ ვიცი, ყველაფერი მართალია თუ არა, მაგრამ... მაგაზე მინდოდა დალაპარაკება... (*პაუზა*). ეს ისტორია... ეს... ის ქალი... ის გერმანელი...

კაცი (*ისევ ტელეფონზე საუბრობს. ქურთუკის ჯიბეში რაღაცის მოსაძებნად ბრუნდება*)**:** არა, გეუბნები რომ ის ახლა სრულიად უმწეოა! თითქმის მუჭში მყავს! მცირე დროში შევძლებთ გაფორმებას.

ანა და ანდრე კაცს შეხედავენ. რაზე შეიძლება, საუბრობდეს? ის ისევ უჩინარდება.

ანა: ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ... ჩემთვის თქვენ ყოველთვის მაგალითი იყავით... შენზე და დედაზე ვამბობ... სიყვარულის მაგალითი... იმის, რომ... და საბოლოოდ, აქაც იგივე ამბავია... ყველა ეს ისტორია ისეთი უსახურია, იმდენად ერთი ერთში მეორდებიან. შენც კი... შენც კი, მამა...

ანა ზედმეტად აღელვებული ჩანს. მის არსებაში ეს ამბავი ბუნებრივ გამოძახილს ჰპოვებს პიერთან დაკავშირებით ახლახან გაგებულ ფაქტთან.

ანდრე: რა?

ანა: მთელი ეს ჟორჟ დულონის ისტორია რას ნიშნავს?

ანდრე: იცი, დროსთან ერთად ზოგიერთ საკითხზე განსხვავებული შეხედულება გვიყალიბდება... ის, რაც მნიშვნელოვანი გვეჩვენებოდა, უცებ ისეთი უბრალო ხდება. წვრილმანები. საბოლოოდ, მივიწყებას ეძლევა. საპნის ბუშტები. ჰოდა, გადაფასება ხდება... პატიებას ვსწავლობთ...

ანა: რაზე ლაპარაკობ?

ანა გრძნობს, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ითქმება მათ შორის. კაცი კიდევ ერთხელ აწყვეტინებს საუბარს.

კაცი (*ტელეფონზე*)**:** ნოტარიუსს უთხარი, რომ მზად იყოს, OK? და უთხარი, რომ შეთანხმება ისევ ძალაშია... თავისას მიიღებს. კი-მეთქი, თავისას მიიღებს.

ანდრე: რაზე ლაპარაკობს?

პაუზა. ანა ცდილობს, როგორმე ისევ წელანდელ საუბარს მიუბრუნდეს.

ანა: ნებისმიერ შემთხვევაში, იმ დღიურთან დაკავშირებით... არ ვიცი, როგორ მოვიქცე. კარგად მესმის, რომ მისი გამოქვეყნება არ შეგეძლო. დედას თანდასწრებით...

ანდრე: ჰო.

ანა: მისთვის ტკივილის მიყენება არ გინდოდა.

ანდრე: ვისთვის? დედაშენისთვის?

ანა: კი. ეს ყველაფერი მესმის. მაგრამ ახლა? შენი თანხმობის გარეშე ვერაფერს გავაკეთებ... რა გინდა, რომ ვქნა? ჰა? როგორ მოვიქცე?

ანდრე: წუხელ... ქარიშხლის ხმა გაიგე?

ანა: წუხელ? არა, ეგ, მგონი, წინა ღამეს იყო...

ანდრე: არა, არა, წუხელ იყო... კარგად არ მეძინა და... უცნაური სიზმარი ვნახე... ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა. ყველაფერი ისეთი ბუნდოვანი იყო. ორაზროვანი. მყიფე. სიცარიელის ზემოთ დავდიოდით.

ანა: სიცარიელის?

ანდრე: კი. ეს... შემზარავი იყო. და გამეღვიძა. საბედნიეროდ, გამეღვიძა... წარმოიდგინე სიზმარი, მისგან რომ ვერასდროს გამოგვეღვიძა... ეს ნამდვილი კოშმარი იქნებოდა!

უცებ, კარში მადლენი გამოჩნდება. ხელში ჩანთა უჭირავს, თითქოს საყიდლებზე იყო წასული.

მადლენი: მე ვარ!

ანდრე დგება.

ანდრე: აჰ, აი, შენც! სად იყავი? დილიდან გეძებ!

მადლენი: სადილისთვის ვიყიდე რაღაცები... კარგად გეძინა?

ანდრე: არა. ზუსტად მაგას ვამბობდი...

მადლენი: ქარიშხლის გამო, ალბათ.

ანდრე: უეჭველად.

კაცი (*ტელეფონზე*)**:** წავედი. საქმის კურსში ჩაგაყენებ. (*ტელეფონს თიშავს*). ბოდიში.

მადლენი: გამარჯობა, პოლ.

კაცი: გამარჯობა, ქალბატონო.

მადლენი: კარგად გეძინათ?

კაცი: ძალიან კარგად. გმადლობთ.

ანა: იცი, რომ სადილად არ რჩებიან?..

მადლენი (*შუბლის შეჭმუხვნით*)**:** ეს როგორ?

ანა: უნდა გაემგზავრნენ.

მადლენი: ახლა? მართლა?

კაცი: დიახ, ვწუხვარ. ჩვენ...

მადლენი: სადილის შემდეგ რომ წასულიყავით?

კაცი: დიდი სიამოვნებით ვიზამდით ასე, მაგრამ მნიშვნელოვანი შეხვედრა მაქვს შუადღით. მართლა არ შემიძლია გადადება.

მადლენი (*ნაწყენი*)**:** ჰო? სამწუხაროა.

კაცი: დიახ.

ანა: მაშინ ეს ჩვენთვის ბევრი იქნება!

ანდრე: რა იყიდე?

მადლენი: სოკო.

ანდრე: აჰ... შესანიშნავია. სადილისთვის?

მადლენი (*როგორც ბუნებრივი ფაქტი*)**:** კი.

ანდრე: მაჩვენე. (*მადლენი აჩვენებს სოკოს. განვლილი სცენიდან ნაწყვეტის განმეორება*). ოჰ... მშვენიერია... წლების განმავლობაში, ამას არ ვჭამდით. ხორცი გვერჩივნა. არ ვიცი, ჭკვა სად გვქონდა.

კაცი: მე... იქნებ მივეხმარო. (*გაურკვეველია, ვისზე ამბობს*). ელიზას. მგონი, ჯობია ჩემოდნის ჩალაგებაში მივეხმარო. თუ არ გვინდა, რომ დავიგვიანოთ...

ის გადის. პაუზა.

მადლენი: რას ფიქრობ მასზე?

ანა: მამაზე?

მალდენი: არა. ის...

პოლზე ანიშნებს.

ანა: არ ვიცი. სასიამოვნო კაცია. შენ ასე არ ფიქრობ?

მადლენი მხრებს იჩეჩს.

მადლენი: რაც მთავარია, შენს დას სახეზე ეტყობა, რომ მისით მოხიბლულია.

ანა: კი.

მადლენი: სულ მაინტერესებს, საიდან გამოჩხრეკს ხოლმე...

ხანმოკლე პაუზა.

ანა: სამაგიეროდ, მამა არ მგონია კარგად.

მადლენი: ვინ?

ანა: მამა.

მადლენი: ოჰ! ისევ თავიდან იწყებ?

ანა: რას ვიწყებ?

მადლენი: ძალიან კარგად იცი. (*ანდრეს*). მორჩი? თითქმის არაფერი გიჭამია...

ანდრე: ამ მშია.

მადლენი: ახლა ასე ამბობ და ერთი საათში მოხვალ და მეტყვი, რომ მშიერი ხარ... და ცმუცვნას დაიწყებ!

მადლენი მაგიდას ალაგებს.

ანა: მხოლოდ იმას გეუბნები, რასაც ვგრძნობ.

მადლენი: სასაცილოდაც არ მყოფნის ეგ შენი შეგრძნებები!

ანა: ასეთი რეაქცია რატომ გაქვს?

მადლენი: იმიტომ, რომ მარტოც ძალიან კარგად ვუმკლავდები ყველაფერს! არ მჭირდება, ამ მხრივ, შენი რჩევები.

ანა: მაგრამ მე... (*მადლენი ბრაზობს, მაგრამ ანა საუბრის ბოლომდე მიყვანას ცდილობს*). მხოლოდ ის ვთქვი, რომ მე და ელიზამ ძალიან განვიცადეთ, როცა მივხვდით, რომ მისი მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა და...

მადლენი: და რა? ამისთვის მოხვედით აქ ამ შაბათ-კვირას? შემოწმების ჩასატარებლად?

ანა: უბრალოდ, ვღელავთ, დედა. გვგონია, რომ შენთვის ეს ზოგჯერ ძალიან მძიმე უნდა იყოს. სრულიად მარტო, აქ, მასთან ერთად...

მადლენი: გიმეორებ, რომ მარტოებიც ყველაფერს ძალიან კარგად ვართმევთ თავს.

ანა: მე მაინც ვფიქრობ, რომ შენ უნდა...

მადლენი (*სიტყვას აწყვეტინებს*)**:** აზრი გკითხე? არა! რეალურად, რა გამოდის? შენს დასთან ერთად დაგვადექი თავზე, ორი დღით, და ექსპერტიზის დასკვნას გვაცნობ იმაზე, როგორ *უნდა* ვიცხოვროთ?

ანა: მაგრამ...

მადლენი: ძალიან კარგად ვიცი, გულში რაც გიდევთ. გუშინ კი არ დავიბადე!

ანდრე: რას...

ანა: დედა, ძალიან გთხოვ... მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ შესაძლოა, სხვა გზებიც არსებობდეს.

მადლენი: აჰ, ჰო? აბა, ამიხსენი... რა გზები?

ანდრე: რას...

მადლენი: გინდა, რომ შენთან წაიყვანო მამა? (*ხანმოკლე პაუზა. პასუხის გარეშე*). ასეც ვფიქრობდი. აბა, სხვა რა? სპეციალიზებულ დაწესებულებაში გინდა მისი გადაყვანა. ასეა, ხომ? ჯობია, პირდაპირ თქვა. ეს გინდა? მისი თავიდან მოცილება გინდა?

ანა: რატომ ბრაზობ?

მადლენი: იმიტომ, რომ კარგად მივხვდი, რა თამაშს თამაშობთ.

ანა: რას გულისხმობ?

მადლენი: თქვენს სულელურ მანევრებს.

ანა: კი, მაგრამ, რაზე ლაპარაკობ?

მადლენი: მისმინე, ახლა უკვე საკმარისია! როცა დამჭირდები, გეტყვი! მანამდე კი მშვიდად ყოფნის საშუალება მომეცი! და თუ უკმაყოფილო ხარ, ისღა დაგრჩენია, შენს დასთან ერთად გაბრუნდე უკან!

მადლენი გადის.

ანდრე: რა სჭირს?

ანა: არაფერი.

ანდრე: როგორ არა. გავიგონე... იკამათეთ?

ანა: არა, არა. ნუ ღელავ.

ანდრე: სოკოს შესახებ?

ელიზა შემოდის.

ელიზა: რა ხდება?

ანა: არაფერი.

ელიზა: რამე პრობლემაა?

ანა: არანაირი. უბრალოდ...

ელიზა: რა?

ანა: არა, აქაურობა მოქმედებს ჩემზე, ასე მგონია. თავში ყველაფერი ერთმანეთში ამერია... შენ არა? არ ვიცი. ყველა მოგონება... ეს...

ელიზა: ტირი?

ანა: არა, არა. ბოდიში.

ელიზა: გულთან ძალიან ახლოს მიგაქვს ყველაფერი, ანა...

ანა: და შენ, არაფერი გეეჭვება?

ელიზა: რასთან დაკავშირებით?

ანა: „ცისფერი სახლი...“ რა ვიცი... მართლა გგონია, რომ ეს საუკეთესო გამოსავალია?

ელიზა: სხვა გზას ვერ ვხედავ.

ანა: ვეცადე, წარმომედგინა, დედა რას იფიქრებდა. თითქოს მის გამჭოლ მზერას ვგრძნობ, ჩვენკენ მომართულს.

ელიზა: გაგებით მოეკიდებოდა.

ანა: მე ასე არ ვფიქრობ, არა.

ელიზა: როგორ არა.

ანა: არა. გაცოფდებოდა. ზუსტად წარმომიდგენია... მკაცრად განგვსჯიდა, დამიჯერე. შეგვაჩვენებდა.

ელიზა: რას ლაპარაკობ?

ანა: ასეა, ვიცი. მისი ხმა ჩამესმის...

ანდრე მათკენ ბრუნდება.

ანდრე: რაშია საქმე, ჩემო კუდრაჭებო?

ელიზა: არაფერი, მამა.

ანდრე: ისევ კამათობთ?

ანა: არა, არა...

ანდრე: აბა, რა ხდება?

ელიზა: მართლა გეუბნები, მამა. ყველაფერი კარგად არის.

ანა: უბრალოდ, ვსაუბრობთ.

ანდრე: ცხოვრება ზედმეტად მოკლეა საკამათოდ. დამიჯერეთ.

ანა: ჰო, ჰო...

ანდრე: ხანმოკლეა... კარგი... ანა... შეიშრე ცრემლი... ჰა? და შერიგდით, კარგი? ჩემი პატარა სიყვარულები...

კაცი შემოდის, ხელში ჩემოდნით.

კაცი: ბოდიში, მე... თქვენი შეწუხება არ მინდოდა. მე... ეს სად დავდო?

ელიზა: აქ დადე, ჯერჯერობით.

კაცი ოთახს კვეთს და ჩემოდანს შემოსასვლელ კართან დებს.

ანდრე: დარწმუნებულები ხართ, რომ წასვლამდე ჩვენთან ერთად სადილობა არ გინდათ?

ელიზა: გმადლობ, მაგრამ...

ანდრე: დედათქვენს ისე ესიამოვნებოდა...

ანა: მამა...

ანდრე: რა?

პაუზა. ყველას ყოყმანი ემჩნევა.

კაცი (*გოგონებს*)**:** არაფერს ეტყვით?

ანდრე: რასთან დაკავშირებით?

კაცი: ეს კიდევ დიდხანს უნდა გაგრძელდეს?

ელიზა: გეყოფა.

კაცი: რა?

ანდრე (*თავის ქალიშვილებს*)**:** რას ლაპარაკობს? (*პაუზა*). რა ხდება? მითხარით... (*პაუზა*). რამე პრობლემაა?

პაუზა. კაცი იატაკზე დაგდებულ პატარა ბარათს ამჩნევს. ის უეჭველად თაიგულიდან არის გადმოვარდნილი. კაცი მას იღებს.

კაცი: თაიგულიდან გადმოვარდებოდა.

ანდრე: ეგ რა არის?

ანდრე ხელიდან ართმევს და კითხულობს.

ელიზა: არა!

ანდრე: ეს რა არის?

ეს სამძიმრის ბარათია. კითხვის დროს ყველა ანდრეს მისჩერებია. პაუზა. ანდრე ბარათს ჯიბეში იდებს, თითქოს არც არაფერი ყოფილა. სახეზე ცვლილება არ ემჩნევა. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად. ის კვლავ სიჩუმეს ინარჩუნებს.

ანა: მამა?

პაუზა.

ელიზა: მამა?

ხანგრძლივი პაუზა. სიბნელე.

4.

ეპილოგი. ცოტა მოგვიანებით. ანდრე ფანჯარასთან დგას, როგორც პიესის დასაწყისში. მადლენი ზის. ის სოკოს ფცქვნის. ყველასგან დავიწყებული ჩემოდანი ისევ შემოსასვლელ კართან დევს.

მადლენი: კმაყოფილი ვარ, რომ გაემგზავრნენ. მათი მხრიდან კარგი საქციელია, ჩვენს მოსანახულებლად მოსვლა... მაგრამ ორი დღის თავზე უკვე ვეღარ ვუძლებ. შენ ასე არ ხარ? (*ანდრე არ პასუხობს*). არ ვიცი, მთელი ამ წლების განმავლობაში როგორ მოვახერხეთ. იმას არ ვამბობ, რომ აუტანლები არიან. არა, კარგები არიან. განსაკუთრებით, ელიზა... მაგრამ მათ თავიანთი ცხოვრება აქვთ, ჩვენ კი - ჩვენი. არა? როცა ერთმანეთში არ ითქვიფება, ასე ჯობია. არ მეთანხმები? (*ანდრე ღიმილით აგრძნობინებს, რომ სწორს ამბობს*). როცა მარტო ჩვენ ორი ვართ... (*პაუზა*). საბოლოოდ, ანამაც მათთან ერთად წასვლა გადაწყვიტა. მით უკეთესი. ეს ცოტა ჩემი ბრალიცაა. ვიკამათეთ. შეიძლება მე ცოტა... ხომ მიცნობ, ყოველთვის პირში მიყვარს თქმა! უბრალოდ, აღარ შემიძლია იმის ატანა, სხვებს ასწავლონ, რა და როგორ გააკეთონ... (*პაუზა*). რას უყურებ? არ გინდა, მოხვიდე და დაჯდე? (*ანდრე არ პასუხობს*). ისინი სიტუაციას ვერ აფასებენ. ვერ ხვდებიან, რომ არავინ გვჭირდება. ჩვენ არავინ გვჭირდება. მეთანხმები? ხომ კარგად ვართ მხოლოდ ჩვენ ორი? ცვლილებები რა საჭიროა?! (*პაუზა*). კი, მაგრამ, რას უყურებ, ბოლოს და ბოლოს? ისინი დიდი ხნის წინ გაემგზავრნენ. ასე, გაუნძრევლად ერთ ადგილზე ყოფნა რას მოგცემს? მოდი, ჩემ გვერდით დაჯექი. (*ანდრე ნაზად უღიმის და უჯერებს. ის მის გვერდით ჯდება*). ასე.

პაუზა.

ანდრე: უცნაური ფერი აქვთ ამ სოკოებს, არა?

მადლენი: საჭმელად უვარგისი გგონია?

ანდრე: ყოველ შემთხვევაში, არ აპირებ, რომ ორივე მოვიწამლოთ, ხომ?

მადლენი იღიმის. პაუზა.

მადლენი: ამ დილით, ზუსტად, საყიდლებზე წასვლისას, იცი, რაზე ვფიქრობდი? ჩვენს ქორწილზე. შენ გახსოვს?

ანდრე: კი.

მადლენი: სასტუმრო „ლუტეციაში...“

ანდრე: შენი კაბა დამიდგა თვალწინ, ჰო. შენი ღიმილი... ჩვენი ოთახიც მახსოვს... ჩვენი საწოლი.

მადლენი: მაგ პერიოდში გამუდმებით ლექსებს მიკითხავდი. ზუსტად მაგის გახსენებას ვცდილობდი... ხომ იცი, ის უცნობი ჩიტის ამბავი...

ანდრე: „მძვინვარე ქარიშხალში/ ჩვენს სანუგეშოდ ერთი ჩიტი მუდამ იქ არის/ ეს უცნობი ჩიტია/ იგი გაფრენის წინ მღერის...“[2]

მადლენი (*თავის მოგონებებში*)**:** ჰო. ასეა. „იგი გაფრენის წინ მღერის...“ ლამაზია.

ანდრე: კი, ძალიან ლამაზი.

მადლენი: ეს ისე დიდი ხნის წინ იყო... ამბობენ, ცხოვრება ხანმოკლეაო, მაგრამ ასე არ არის. ის საშინლად გრძელია.

ანდრე: ხანდახან დაუსრულებელიც კი გეჩვენება.

მადლენი: ჰო. მაგრამ როცა მთავრდება, ეს მხოლოდ და მხოლოდ შვება შეიძლება იყოს. შენ ასე არ ფიქრობ? (*პაუზა*). გშია? ბუნებრივია, საუზმეზე არაფერი გიჭამია. ყოველთვის ერთი და იგივე ამბავია შენთან... მაგრამ თითქმის დავამთავრე. მალე შეგვეძლება, მაგიდას მივუსხდეთ. მერე კი, თუ სურვილი გექნება, გავისეირნოთ. ტყეში გავიაროთ ცოტა. რას იტყვი? იმ ქარიშხლის შემდეგ სასიამოვნო სურნელი იდგება... ოღონდ 15 საათისთვის შინ უნდა ვიყო. ჟანს შევუთანხმდი, ჟალუზების გადასაღებად მოვა. შენ კიდევ გამოიძინებ, შენებურად... მაგ დროში მე უეჭველად ჩემს ბაღს უნდა მივხედო და...

ანდრე (*საუბარს აწყვეტინებს*)**:** უშენოდ რა მეშველებოდა? (*მადლენი უღიმის. ანდრე - არა. ის თვალმოუშორებლად შეჰყურებს მადლენს*). რა უნდა მექნა? უშენოდ რა უნდა მექნა?

მადლენი: ნუ ღელავ. მე აქ ვარ. (*ანდრეს სახეზე ემჩნევა, რომ ამაში დარწმუნებული არ არის*). ყოველთვის აქ ვიქნები. არ ინერვიულო. არ დაგტოვებ. კარგად იცი, რომ იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, ვინც დანაპირებს არ ასრულებს. ჰა? ხომ იცი?

ანდრე: ჰო.

მადლენი: ჰოდა, ნურაფრის გეშინია. მე ვიზრუნებ შენზე. შენზე ვიზრუნებ, ჩემო ძვირფასო ბავშვო...

მადლენი ანდრეს უღიმის. პაუზა. ის სოკოს გასუფთავებას აგრძელებს. ანდრე ჯიბიდან სამძიმრის ბარათს იღებს და კიდევ ერთხელ კითხულობს. უცებ, ის მადლენს ხელს ჩასჭიდებს და ძლიერად უჭერს - თითქოს მის შეკავებას ცდილობს. პაუზა. სიბნელე.

დასასრული